პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე

USAID
ამერიკელი ხალხისგან
15 წლიანი თანამშრომლობა განვითარებისთვის

ეს გამოცემა განხორციელდა ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA Rule of Law Initiative) მიერ. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი შინაარსი ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის ნაშრომია. მასში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და ისინი არ დამტკიცებულა ამერიკის იურისტთა ასოციაციის დელეგატთა საბჭოს ან მმართველთა საბჭოს მიერ. ამასთან, წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი შეხედულებანი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონკრეტულ საკითხებზე იურიდიული რჩევა. წინამდებარე გზამკვლევის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა და ის არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

ავტორები:

კობა ბოჭორიშვილი – ადვოკატი, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

შალვა დემეტრაძე – ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე

ლელა ცანავა – ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე

2008 წლის მარტი
თბილისი, საქართველო

ABA Rule of Law Initiative

USAID

34
ბ-89

პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე

№ 1339

მარტი, 2008

სახელმძღვანელოს ძირითად მიზანს წარმოადგენს პრაქტიკული კუთხით მოახდინოს საქართველოს კანონის – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-VII[3] თავით დარეგულირებული (ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით) ადმინისტრაციული სამართალწარმოების კომენტარი.

ავტორებს სურდათ ძირითადი აქცენტი გაკეთებულიყო იმ საკანონმდებლო ხარვეზებზე და კოლიზიებზე, რომელიც მრავლად იქნა გამოვლენილი (განსაკუთრებით პროცესუალური კუთხით) ზემოაღნიშნული ნორმების პრაქტიკული გამოყენებისას. რაც მთავარია შეძლებისდაგვარად შეეთავაზებინათ მკითხველისათვის ამ ხარვეზებისა და კოლიზიების გადაწყვეტის სამართლებრივი გზა და მექანიზმი. ამასთან, სამომავლოდ სასურველია საკანონმდებლო ხარვეზები დარეგულირებული იქნას არა მხოლოდ ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების გზით, არამედ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლეებისა, ოჯახში ძალადობის საკითხთან დაკავშირებით მომუშავე პრაქტიკოსი ადვოკატებისა, ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით. ყველა პრობლემური საკითხი მოწესრიგებული იქნას ეფექტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით.

შესავალი

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მიღებულ იქნა 2006 წლის 25 მაისს და მისი მიღება განაპირობა რამოდენიმე არსებითმა გარემოებამ:

1. 1994 წლის 22 სექტემბერს საქართველო მიუერთდა 1979 წლის 18 დეკემბრის მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას (კონვენცია) ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW). აღნიშნული კონვენცია საქართველოს მხარის მიერ რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის №561 დადგენილებით, რის შემდეგაც, საქართველოს მხარემ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იკისრა ვალდებულება – განეხორციელებინა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და მოეხდინა მისი იმპლემენტაცია ქვეყნის შიგნით მოქმედ კანონმდებლობაში.

2. CEDAW არის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ეხება ქალის – ადამიანის უფლებებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი არა მარტო მოითხოვს ფორმალურ იურიდიულ პარიტეტს ქალსა და მამაკაცს შორის, არამედ ავალდებულებს სახელმწიფოს მისცეს ქალებს ამ თანასწორობის რეალურად გამოყენების საშუალება. CEDAW შეიცავს 16 არსებით მუხლს, რომელიც ეხება ქალების თანაბარ უფლებებს პოლიტიკის, განათლების, ჯანდაცვის, განვითარების, ეკონომიკური ცხოვრების, დასაქმების, საოჯახო და ქორწინებითი ურთიერთობების სფეროებში და სხვა.

იმ მიზნით, რომ განსაზღვრულიყო, რამდენად შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მოთხოვნებს, ასევე ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით 2003 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის საქართველოს პროგრამის ინიციატივით და 2003 წლის ოქტომბრისათვის მომზადდა ქალის დისრმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის შეფასების ხელსაწყოს ანგარიში. ჯგუფის მუშაობის ერთ – ერთ კომპონენტს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის კვლევა და შეფასება, აგრეთვე იმ ფაქტორების განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება საქართველო, (დე იურე და დე ფაქტო) კონვენციის მოთხოვნებს. დე იურე ანალიზი მოიცავდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობას, ხოლო დე ფაქტო ყოველდღიური რეალობის შესაბამისობას კანონებთან და კონვენციის მოთხოვნებთან.

სახელმძღვანელოს ძირითად მიზანს წარმოადგენს პრაქტიკული კუთხით მოახდინოს საქართველოს კანონის – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-VII[3] თავით დარეგულირებული (ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით) ადმინისტრაციული სამართალწარმოების კომენტარი.

ავტორებს სურდათ ძირითადი აქცენტი გაკეთებულიყო იმ საკანონმდებლო ხარვეზებზე და კოლიზიებზე, რომელიც მრავლად იქნა გამოვლენილი (განსაკუთრებით პროცესუალური კუთხით) ზემოაღნიშნული ნორმების პრაქტიკული გამოყენებისას. რაც მთავარია შეძლებისდაგვარად შეეთავაზებინათ მკითხველისათვის ამ ხარვეზებისა და კოლიზიების გადაწყვეტის სამართლებრივი გზა და მექანიზმი. ამასთან, სამომავლოდ სასურველია საკანონმდებლო ხარვეზები დარეგულირებული იქნას არა მხოლოდ ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების გზით, არამედ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლეებისა, ოჯახში ძალადობის საკითხთან დაკავშირებით მომუშავე პრაქტიკოსი ადვოკატებისა, ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით. ყველა პრობლემური საკითხი მოწესრიგებული იქნას ეფექტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით.

შესავალი

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მიღებულ იქნა 2006 წლის 25 მაისს და მისი მიღება განაპირობა რამოდენიმე არსებითმა გარემოებამ:

1. 1994 წლის 22 სექტემბერს საქართველო მიუერთდა 1979 წლის 18 დეკემბრის მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას (კონვენცია) ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW). აღნიშნული კონვენცია საქართველოს მხარის მიერ რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის №561 დადგენილებით, რის შემდეგაც, საქართველოს მხარემ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იკისრა ვალდებულება – განეხორციელებინა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და მოეხდინა მისი იმპლემენტაცია ქვეყნის შიგნით მოქმედ კანონმდებლობაში.

2. CEDAW არის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ეხება ქალის – ადამიანის უფლებებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი არა მარტო მოითხოვს ფორმალურ იურიდიულ პარიტეტს ქალსა და მამაკაცს შორის, არამედ ავალდებულებს სახელმწიფოს მისცეს ქალებს ამ თანასწორობის რეალურად გამოყენების საშუალება. CEDAW შეიცავს 16 არსებით მუხლს, რომელიც ეხება ქალების თანაბარ უფლებებს პოლიტიკის, განათლების, ჯანდაცვის, განვითარების, ეკონომიკური ცხოვრების, დასაქმების, საოჯახო და ქორწინებითი ურთიერთობების სფეროებში და სხვა.

იმ მიზნით, რომ განსაზღვრულიყო, რამდენად შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მოთხოვნებს, ასევე ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით 2003 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის საქართველოს პროგრამის ინიციატივით და 2003 წლის ოქტომბრისათვის მომზადდა ქალის დისრმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის შეფასების ხელსაწყოს ანგარიში. ჯგუფის მუშაობის ერთ – ერთ კომპონენტს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის კვლევა და შეფასება, აგრეთვე იმ ფაქტორების განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება საქართველო, (დე იურე და დე ფაქტო) კონვენციის მოთხოვნებს. დე იურე ანალიზი მოიცავდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობას, ხოლო დე ფაქტო ყოველდღიური რეალობის შესაბამისობას კანონებთან და კონვენციის მოთხოვნებთან.

ამასთან, მოხდა იმ ფაქტობრივ გარემოებათა განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტურად სრულდებოდა სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მხრიდან არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები და რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა მოქმედი კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად.

კვლევა დასრულდა 2003 წლის ოქტომბერში. ჩატარებულმა კვლევებმა და გამოკითხვებმა აჩვენა, რომ:

ა) ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე – ოჯახში ჩადენილი ძალადობა ძირითადად დაფარული იყო საზოგადოებისაგან და აღიქმებოდა როგორც თვითთოეული კონკრეტული ოჯახის პრობლემად;

ბ) თავად ოჯახში ძალადობის პრობლემა, მისი ცალკეული გამოვლინებები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები ნაკლებად ან საერთოდ არ იყო შესწავლილი;

გ) ოჯახში ძალადობა საზოგადოების მხრიდან არ აღიქმებოდა, როგორც სხვისი უფლებების შეზღუდვა – ძალადობა;

დ) საქართველოს ყველა რეგიონში გამოვლინდა ოჯახში ძალადობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;

ე) თვით ის ადამიანები, რომელთაც ოჯახში გამოვლენილი ძალადობა თავისი ქმედებებით უტოლდებოდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, მიიჩნევდნენ, რომ მათ მიერ ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება იყო მათი საქმე, არანაირად არ შედიოდნენ წინააღმდეგობაში კანონთან და არ არღვევდნენ სხვის უფლებას;

ვ) პირს, რომელიც სჩადიოდა ძალადობას ოჯახში, ჰქონდა სრული დაუსჯელობის განცდა და ამასთან, თვით ძალადობის მსხვერპლი, მის მიმართ განხორციელებულ სასტიკ მოპყრობასაც (ცემა) არ აღიქვამდა, როგორც ძალადობას;

ზ) კვლევების სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყანაში არ არსებობდა ის სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც განხორციელდებოდა ძალადობის მსხვერპლთა სწრაფი და ეფექტური დაცვა;

თ) მოქმედი სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფდნენ პირთა ეფექტურ დაცვას, ვინაიდან არსებული კანონმდებლობა არ იცნობდა ოჯახში ძალადობის ცნებას და ასეთი სახის ქმედების აღმო-

საფხვრელად მიმართული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები საკმაოდ განგრძობადი, ნაკლებად ეფექტური იყო და დროში განგრძობად პროცესს წარმოადგენდა;

ი) თვით სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია/პროკურატურა), მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ოჯახური კონფლიქტისას სახეზე იყო სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები მიიჩნევდნენ, რომ საკითხი დარეგულირებული უნდა ყოფილიყო თვით ოჯახის წევრებს შორის და არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი;

ოჯახში ძალადობა, როგორც ძალადობის ერთ – ერთი ტიპიური გამოვლინება, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ცალკე ფორმულირებული არ იყო. აღნიშნული ტიპის ქმედებები უმეტეს წილად განიხილებოდა, როგორც კერძო ბრალდების საქმე და შესაძლებელი იყო დაზარალებულ მხარესთან მორიგების შემთხვევაში საქმის წარმოებით შეწყვეტა, რაც რეალურად, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ასეც მთავრდებოდა.

ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის შემთხვევაში მოქალაქეები თავს არიდებდნენ სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვას, რაც გამოიწვევდა მოძალადის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა თავისთავად, სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმიც ამ მხრივ ნაკლებად ეფექტური და მოუქნელი გამოდგა.

მოქალაქეთა მხრიდან საკითხის ასეთმა დამოკიდებულებამ ოჯახში განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით, გამოიწვია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ასეთი სახის დარღვევებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რამაც კონკრეტულ შემთხვევებში საქმე მიიყვანა ფატალურ შედეგებთან, გახშირდა სხეულის მძიმე დაზიანებათა რიცხვი, რაც ზოგჯერ მთავრდებოდა ტრაგიკული შედეგით: მსხვერპლის ან მოძალადის მკვლელობით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შექმნის ერთ-ერთი პირველი მიზანი იყო საკანონმდებლო ნორმებით განესაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ოჯახური ძალადობა, ანუ საკანონმდებლო დონეზე განესაზღვრა ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია ამ ტიპის გადაცდომათა მიმართ. ოჯახში განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, შეექმნა ამ ქმედების აღკვეთისა და მსხვერპლის სამართლებრივი დაცვის სწრაფი და ეფექტური მექანიზმი, მოეხდინა ძალადობის ლოკალიზება, უზრუნველეყო მოძალადისა და მსხვერპლის მყისიერი განცალკევება, ეფექტური პრევენციის და მსხვერპლის რეაბილიტაციის მექანიზმი.

ადამიანის უფლებები საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებია, ის არ წარმოადგენს მხოლოდ კანონთა კრებულს, არამედ ეს არის ფასეულობათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის ღირსების, მისი ერთადერთობისა და უნიკალურობის აღიარებას. თავად ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, რაც ქვეყანაში მშვიდობიანობისა და სამართლიანობის საფუძველია.

წლების განმავლობაში ითვლებოდა, რომ ოჯახი დამოუკიდებელი, ხელშეუხებელი ელემენტია. ძალადობა ოჯახში აღიქმებოდა ამ ოჯახის საქმედ, რომელში ჩარევასაც ყველა ერიდებოდა. სახელმწიფო ოფიციალური სტრუქტურები თავს იკავებდნენ შეხებოდნენ ამ სფეროს, კანონით დაერეგულირებინათ და აღმოეფხვრათ ძალადობა ოჯახში. ეს მცდარი სამართლებრივი შეხედულებისა და არასწორი შეფასების შედეგი იყო, რის გამოც ირღვეოდა და ირღვევა ადამიანის უფლება – იცხოვროს უსაფრთხო გარემოში, ძალადობის გარეშე.

დადგენილია, რომ ძალადობა და ძალმომრეობა ბადებს ძალადობას და ძალმომრეობას. პირი, რომელიც სჩადის ძალადობას ოჯახში დაიმედებულია იმით, რომ ის არ დაისჯება ამ ქმედებისათვის. დაუსჯელობის სინდრომი და ძალადობრივი გზით მოთხოვნილების მარტივად დაკმაყოფილების სურვილი მას აძლევს ახალ სტიმულს კვლავ ჩაიდინოს ძალადობრივი ქმედება ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

თავისთავად პირი, რომელიც სჩადის ძალადობას ოჯახში, საზოგადოებრივად იგივე საშიშ ქმედებას ახორციელებს, რასაც სხვა პირი სჩადის ოჯახის გარეთ – ქუჩაში. განსხვავება კი ის არის, რომ პირველ შემთხვევაში მოძალადე დაუსჯელი რჩება და კვლავ აგრძელებს ოჯახის წევრების უფლებების შელახვას, ხოლო ოჯახის გარეთ, სხვა პირთა მიმართ ძალადობის განმახორციელებელი პირის მიმართ გამოიყენება კანონისმიერი მყისიერი ღონისძიება – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის დაცვის ობიექტია ოჯახის წევრი.

ბავშვს, რომელიც იზრდება ძალადობრივ გარემოში, უყალიბდება არასრულფასოვნების განცდა და უმეტეს შემთხვევაში შემდგომში თავად ხდება მოძალადე, ან მუდმივად დათრგუნულია და მსხვერპლია. პირი, რომელიც იზრდება ძალადობრივ გარემოში და სწავლობს იმას, რომ შედეგის მიღწევა, მოთხოვნის იოლი გზით დაკმაყოფილება, შეიძლება ძალმომრეობით, სხვისი უფლებების შეზღუდვით, დამცირებით, აუცილებლად განახორციელებს ძალადობას ოჯახში ან მის გარეთ.

სახელმწიფოს მოვალეობაა შეინარჩუნოს ოჯახი ძალადობის გარეშე, რათა საშუალება მიეცეს მის ნებისმიერ წევრს იცხოვროს და აღიზარდოს ნორმალურ გარემოში ძალადობის გარეშე და არ გახდეს მოძალადე.

სწორედ დაუსჯელობის და უდანაშაულობის განცდა აძლიერებს მოძალადეს ოჯახში. ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს ოჯახში თუ მის გარეთ, ძალადობა წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახის ნებისმიერი წევრის ნორმალურ განვითარებაზე, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაზე და ერთი წევრის მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარჯზე ზღუ-დავს ოჯახის მეორე წევრის უფლებებს.

თავი I

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს;

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი პირველი მუხლი იძლევა ზოგად განმარტებას კანონის რეგულირების სფეროზე.

საქართველოს კონსტიტუციით ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. კონსტიტუციით ასევე უზრუნველყოფილია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, აკრძალულია პირთა პატივისა და ღირსების შელახვა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტები კრძალავს დისკრიმინაციას ისეთ სფეროებში, როგორიცაა შრომითი ურთიერთობები, საოჯახო ურთიერთობები, განათლება, პოლიტიკა, კანონმდებლობით დეკლარირებული დებულებები ოჯახში ძალადობის შემთხვევაში არ უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლის რეალურ იურიდიულ დაცვას. საქართველოს კანონით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კონკრეტულად განისაზღვრა იმ ქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც გვხვდება ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის დამატებითი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით შექმნას მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები;

ბ) შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის;
გ) უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;
დ) შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები;
ე) უზრუნველყოს თანამშრომლობა სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ოჯახი სახელმწიფოს საფუძველი და ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია. სახელმწიფოს ვალდებულებაა ოჯახის თითოეული წევრი დაცული იქნას ძალადობისაგან შესაბამისი სტრუქტურების მეშვეობით. მთელი ცივილიზებული სამყარო, ოჯახში ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად. მსოფლიო საზოგადოებრიობა ცნობს ადამიანის უფლებას, იცხოვროს ოჯახში ძალადობის გარეშე. ამდენად, კანონის მიზანს წარმოადგენს დამატებითი ადმინისტრაციული კანონმდებლობის ამოქმედების გზით განახორციელოს კონსტიტუციით დეკლარირებული სახელმწიფოს ამოცანათა და ძირითად ფუნქციათა განხორციელება უშუალოდ ოჯახის შიგნით.

დასახული მიზნის მისაღწევად მოცემული კანონი არამარტო უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების გააქტიურებას, არამედ იძლევა საშუალებას ადმინისტრაციულ ორგანოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მჭიდრო თანამშრომლობით ებრძოლოს ძალადობას ოჯახში, შექმნას ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლის რეაბილიტაციის ეფექტური მექანიზმები, ოჯახის წევრთა თანასწორობის საფუძველზე შექმნას მათი უფლებების დაცვის საკანონმდებლო და სოციალური გარანტიები, შეინარჩუნოს ოჯახური ღირებულებები, დაიცვას ოჯახი ძალადობისაგან.

მუხლი 3. ოჯახში ძალადობა
ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით პირველად მოხერხდა ისეთი ცნების განსაზღვრა, როგორიცაა ოჯახში ძალადობა. მოცემული კანონი ეხება მხოლოდ პირთა განსაზღვრულ წრეს – ოჯახის წევრებს და ოჯახში ძალადობის

ფორმულირება გამოიყენება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, ვინც წარმოადგენს ოჯახის წევრს.

ეს მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირის კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება შეზღუდული იქნას მისივე ოჯახის წევრის მიერ. შესაბამისად, ძალადობად მიჩნეული იქნა ყველა იმ უფლების დარღვევა რაც მოცემულია კონსტიტუციის მე-2 თავში და წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

პრაქტიკულად ყველა ქმედება, რომელიც ნების საწინააღმდეგო არაერთჯერადი ხასიათისაა, ერთი პირის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულია არანებაყოფლობითი ფორმით და იწვევს მეორე ადამიანის ტანჯვას, არის ძალადობა.

ოჯახში ძალადობის, ისევე როგორც ზოგადად ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოვლენის შემთხვევაში, სახეზეა ძალადობის სამი კომპონენტი: მსხვერპლი, მოძალადე და ქმედება (ძალადობა). ოჯახში ძალადობის ცნება, დამდგარი სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება მოიცავდეს როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას – ძალადობას, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ გადაცდომასა და სამოქალაქო კოდექსით აღიარებულ პირთა კერძოსამართლებრივ უფლებათა ხელყოფას. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე სამივე შემთხვევაში ქმედება მიმართულია კონკრეტულად ოჯახის წევრის მიერ მეორე ოჯახის წევრის კანონიერი ინტერესის, უფლებებისა და თავისუფლებების საზიანოდ.

მოცემული მუხლი ფრიად საინტერესოა იმით, რომ გარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული „ტრადიციული" ძალადობის სახეებისა, ისეთები როგორიცაა ფიზიკური, სექსუალური ან იძულება, მათ რიგში თანაბრად აყენებს ძალადობის ისეთ სპეციფიურ ფორმებს, როგორიცაა ფსიქოლოგიური და ეკონომიური. ძალადობის ეს ფორმები საკმაოდ გავრცელებული იყო ოჯახში და საზოგადოდ, პრაქტიკულად ამ კანონის მიღებამდე, არ ხვდებოდა საკანონმდებლო რეგულაციის სფეროში. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონმა შეძლო საკანონმდებლო ჩარჩოში მოექცია და ამ ტიპის ძალადობის გამოვლინების შემთხვევაში რეაგირების გარეშე არ დაეტოვებინა, მაქსიმალურად დაეცვა მსხვერპლი, რაც წინამდებარე კანონის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და წინგადადგმული ნაბიჯია.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება
ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზ-

იკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

გ) იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

დ) სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით,. ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ე) ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

ვ) მსხვერპლი - ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება;

ზ) ოჯახის წევრი - ამ კანონის მიზნებისთვის დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე;

თ) მოძალადე - ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ;

ი) თავშესაფარი - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან და არასამეწარმეო იურიდიული

პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს; ამ კანონის VI თავის ამოქმედებამდე – ასევე ოჯახის ნათესავებისა და მეგობრების ოჯახი;

კ) სარეაბილიტაციო ცენტრი – მოძალადის დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მოძალადის რეაბილიტაციას, კრიზისულ ინტერვენციასა და სამედიცინო დახმარებას და იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ.

ამ მუხლში მოცეული და განმარტებულია კანონში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა, რომელიც დამახასიათებელია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისათვის და გამოიყენება მხოლოდ მისი მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 6. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ნორმატიული აქტი მას უნდა შეესაბამებოდეს და მისგან უნდა გამომდინარეობდეს. აღნიშნული რა თქმა უნდა ეხება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონსაც. მოცემული კანონი იძენს სავალდებულო ძალას, როცა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს. წინამდებარე კანონი ემყარება ასევე 1979 წლის 18 დეკემბრის მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას (კონვენცია) ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), ადმინისტრაციულ, სისხლისამართლებრივ და სამოქალაქო კანონმდებლობას.

თავი II
ოჯახში ძალადობის პრევენცია

მუხლი 6. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები

1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისაკენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის სამართლებრივი დევნისა და მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისაკენ.
2. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.
3. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:

ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია;
ბ) ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად;
გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;
დ) პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ჩადენილი აქვთ ძალადობა;
ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს;
ვ) ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;
ზ) ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძა-

ლადეთათვის – რეაბილიტაციის მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო კურსების ორგანიზებას;

თ) ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს არა მოძალადის დასჯა, არამედ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება.

ოჯახში ძალადობის პრევენცია გულისხმობს იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია. ამასთან, ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ზომების მიღებას, კერძოდ, სტატისტიკის წარმოებას, საინფორმაციო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, რათა მოქალაქეები ფლობდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა ქმედება და ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას, რა მექანიზმებით და საშუალებებით არის შესაძლებელი დაცული იქნას დარღვეული უფლება.

ოჯახში ძალადობის ფაქტების სტატისტიკა, ფაქტორების ანალიზი, შესწავლა და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მეშვეობით, ხდებოდეს გაშუქება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მასობრივი ინფორმაციების საშუალებით, რადგან არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ მოსახლეობა არ არის სამართლებრივად ინფორმირებული, რაც იწვევს მათი ქმედების და ოჯახის წევრთა მიმართ უფლების შელახვას.

მაგალითად, მშობელს მიაჩნია, რომ შვილის აღზრდისათვის აუცილებელია მისი ცემა, დასჯა, მაგრამ ვერ წარმოუდგენია რომ მისი ამგვარი ქმედება წარმოდგენს მისი მხრიდან ოჯახურ ძალადობას.

ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებად წარმოსადგენია ასევე ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მეუღლე, რომელიც მუშაობს და არ აძლევს ფულს თავის მეუღლეს წარმოადგენს ძალადობას (ეკონომიური) და სხვისი უფლების შელახვას. ასევე თვალნათელი მაგალითია შემთხვევა, როდესაც მეუღლეთა თანაცოლის ყოველგვარი მოსაზრების გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში სახეზეა ტიპიური ეკონომიური ძალადობა, თუმცა ჩვენი საზოგადოებისათვის დღევანდელ ეტაპზე აღნიშნული წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას.

კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულებაა დაიცვას ოჯახური ღირებულებები და უზრუნველყოს თანასწორობის დაცვა-განმტკიცება, აქედან გამომდინარე, ოჯახური ძალადობა თავისთავად მიმართულია სახელმწიფოს პრიორიტეტული ინტერესის წინააღმდეგ.

ხშირ შემთხვევაში ეს ხდება გაუთვითცნობიერებლად თვით იმ პირის მიერ, ვინც ახორციელებს ძალადობას და ასევე ის პირი, ვის მიმართაც ხორციელდება ძალადობა, აღიქვამს ამას როგორც ჩვეულებრივ ყოფით მოვლენას, თუმცა შეიძლება ჰქონდეს შინაგანი პროტესტი, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რომ ძალადობა წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას და მას გააჩნია უფლება იყოს ყოველმხრივ დაცული შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით.

უპირველს ყოვლისა სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით მისცეს ინფორმაცია საზოგადოებას იმის შესახებ, რომ ოჯახი არ წარმოადგენს დახურულ ორგანიზაციას და მის შიგნით ძალადობა განიხილება როგორც სახელმწიფოს მხრიდან დასჯადი ქმედება. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ოჯახის შიგნით განხორციელებული ძალადობა დარჩება სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაგირებისა და „დასჯის" გარეშე. სახელმწიფოს მოვალეობაა გააერთიანოს ყველა შიდა მექანიზმი და რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის მაქსიმალური დაცვა, მისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.

ძალადობის პრევენცია ასევე გულისხმობს მოძალადის მიმართ გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას, რათა მან შეიგნოს თავისი ქმედების დანაშაულებრიობა და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ►ელახალი განმეორება. კანონის მიზნებიდან გამომდინარე მსხვერპლისა და ►ოძალადის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ადაპტაციისათვის აუცილ►ელია სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო კურსების ორ►ანიზება და დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამე►ის შექმნა-მხარდაჭერა.

►უხლი 7. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებე►ის განხორციელება

1. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები.

№

2. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შეიძლება ითანამშრომლონ ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე დაინტერესებულ ინსტიტუტებთან და უზრუნველყონ შესაბამისი ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.

როგორც მუხლის განმარტებიდან ჩანს კანონის მიზნებიდან გამომდინარე ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო ორგანოები.

ამ მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე დაინტერესებული ინსტიტუტების – არასამთავრობო სექტორის ჩართვა და მონაწილეობა ძალადობის პრევენციის ღონისძიებების პროექტების დაგეგმვა - განხორციელებაში.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №406 განკარგულებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის აღკვეთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და მსხვერპლთა რეაბილიტაცია.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალს.

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცისა და დახმარების თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცისა და დახმარების მიზნით შექმნილი ახალი ინსტიტუტებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განხორციელებისათვის სამართლებრივი ბაზის მომზადება

ევალება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე შემდეგ ინსტიტუტებს, როგორიცაა ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია, არასრულწლოვანთა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე – შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტრო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ასევე შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მუხლი 8. სოციალური მომსახურება

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სოციალურ მომსახურებას ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისთვის.

2. სოციალური მომსახურება მოიცავს:

ა) ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, შესაბამის ანალიზს და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარებას;

ბ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას;

გ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა რისკ-ჯგუფების გამოვლენას და მათთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობას;

დ) დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობას;

ე) დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგს;

ვ) მოძალადეთა და მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობას.

მოცემული მუხლიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სახელმწიფო, წარმოდგენილი შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, იღებს ვალდებულებას შეიმუშავოს და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებანი უშუალოდ სოციალური მომსახურების გზით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ნორმა კონკრეტულად განსაზღვრავს იმ სოციალურ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა მოცემული მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, როგორც ოჯახური დავების მიზეზების შესწავლისა, ანალიზისა, დავების დაძლევისა, ასევე მსხვერპლისა და მოძალადისათვის ეფექტური სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ხელშეწყობა-განხორციელების კუთხით.

თავი III
ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

მუხლი 9. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

1. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები.

2. სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

3. სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე ოჯახში ძალადობის საკითხები წესრიგდებოდა სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი მექანიზმებით, მაგრამ, როგორც ავღნიშნეთ დასახელებული კანონები პირდაპირ არ არეგულირებდა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში წარმოშობილ სამართალურთიერთობებსა და არ ითვალისწინებდა ამ კონკრეტული მოვლენის სპეციფიკას.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" გამოიყენება არა ზოგადად საოჯახო ურთიერთობების დარეგულირებისათვის, არამედ ოჯახში ძალადობის აღკვეთისათვის, რაც მიმართულია მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისაგან განცალკევებისაკენ და მიეკუთვნება ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეს. სხვა დანარჩენი სამართალურთიერთობისათვის, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ოჯახური ძალადობისაგან, მაგ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

სისხლის სამართლებრივი მექანიზმები ოჯახში ძალადობის შემთხვევაში გამოიყენება მაშინ, თუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება (მაგ. ცემა, სხვა სახის ძალადობა) ჩადენილ იქნა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ. ამ შემთხვევის განხილვისას გასათვალისწინებელია თავად

ჩადენილი ქმედების სიმძიმე, შინაარსი და საზოგადოებრივი საშიშროება, კერძოდ თუ რა სიმძიმის დაზიანება მიაყენა მოძალადემ მსხვერპლს და აგრეთვე ის გარემოება, კერძო ბრალდების საქმესთან გვაქვს შეხება თუ საჯარო სისხლის სამართლებრივ დევნასთან.

ორივე ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მხარეს აქვს სუვერენული უფლება ამოირჩიოს მართლმსაჯულების ფორმა და თავისი უფლებების დაცვისათვის მიმართოს ან სისხლის სამარლებრივ ან „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დაცვის მექანიზმებს.

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია მოძალადის მიმართ გამოყენებულ და ამოქმედებულ იქნეს ორი ან მეტი მექანიზმი, მაგალითად:

ნასვამმა ა.გ.-მ საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მეტროპოლიტენით) მგზავრობისას სახალხოდ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს, აგინებდა და ლანძღავდა მას ხმამაღლა, შემდეგ ესეც არ იკმარა – წაართვა მობილური ტელეფონი და დაანარცხა ძირს, რის შედეგადაც ტელეფონი დაიმსხვრა. მისმა ქმედებამ შეაწუხა გარშემომყოფები და გამოიწვია საზოგადოებრივი მართლწესრიგის ხელყოფა. ამ ფაქტს შეესწრო მეტროპოლიტენის პოლიცია, რომელმაც მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დაადგინა, რომ მეუღლის ეს საქციელი მუდმივად თანმდევია ა.გ.-ს სიმთვრალისა.

აღნიშნული ქმედება თავისი შინაარსით წარმოადგენს ტიპიურ ოჯახურ ძალადობას, რაც გამოიხატება მეუღლის მიმართ სისტემატიურ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ამ შემთხვევაში მოძალადე-მეუღლის მიმართ შესაძლებელია გამოცემული იქნეს შემაკავებელი ორდერი, რომლითაც ა.გ.-ს აეკრძალება მეუღლის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლით გათვალისწინებული სახდელი და ამასთან, დაზარალებულ მეუღლეს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფლების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი – მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დაზიანებელი ტელეფონის გამო.

მუხლი 10. დამცავი და შემაკავებელი ორდერები

1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.

2. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განსაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

3. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განსაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

4. მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი სრულიად ახალი მოვლენაა საქართველოს სამართლის სისტემაში. ეს არის პრევენციული ღონისძიების განმახორციელებელი მექანიზმი რომელიც გამოიყენება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი ეს არის დროებითი შემზღუდავი ხასიათის ღონისძიების განმახორციელებელი მექანიზმი, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართულია ძალადობის ფაქტის ოპერატიული აღკვეთისაკენ მსხვერპლის დაცვის, მოძალადისა და მსხვერპლის დაშორების და ძალადობის შემდგომი გამოვლინების აღკვეთისაკენ. მისი მიღება ხდება ოპერატიულად და სამართალწარმოებაც მიმდინარეობს შემჭიდროებულ ვადებში, ამკრძალავი ღონისძიება რომელიც მოცემულია ორდერში და მტკიცდება სასამართლო გადაწყვეტილებით კანონით წინასწარ არ არის განსაზღვრული. ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში კონკრეტული ქმედების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს მსხვერპლის დაცვისაკენ მიმართული კონკრეტული ადექვატური ღონისძიება.

დამცავი ორდერი გამოიცემა პირის განცხადების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ფორმით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. დამცავი ორდერით განისაზღვრება მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიებების გამოყენების ფორმები, რომელიც მიმართულია ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვისაკენ, ხელს უწყობს მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციას.

10.2. მუხლი ყურადღებას ამახვილებს აგრეთე იმ შემთხვევაზე, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება, გამოხატული ოჯახური ძალადობის ნიშნით.

თუ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებიდან გამომდინარე პირს (მოძალადეს) აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული აქვს პატიმრობა, მის მიმართ გამოყენებული ვერ იქნება დაცვის ღონისძიება-ორდერი. მაგრამ როდესაც დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და მოძალადე პატიმრობაში არ იმყოფება, მსხვერპლის თხოვნით სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ და განუსაზღვრავს მოძალადეს შემზღუდავ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება მსხვერპლის დაცვისაკენ. კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ოჯახური ძალადობის ნიადაგზე აღძრულ სისხლის სამართლებრივ დევნასთან და არა სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებაზე.

შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი პირი, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №1079 ბრძანებით დამტკიცდა შემაკავებელი ორდერი და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები, აგრეთვე განისაზღვრა მათი შედგენის უფლებამოსილი პირები. ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა იმ პოლიციელთა ნუსხა, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის მსხვერპლის უზრუნველყოფის მიზნით გამოსცენ შემაკავებელი ორდერი, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს – დროებითი ხასიათის ამკრძალავ ღონისძიებებს უწესებს მოძალადეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №1079 ბრძანებით შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრენ:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები:

ა) ოცეულის მეთაური;
ბ) ათეულის მეთაური;
გ) უფროსი პატრულ-ინსპექტორი;
დ) პატრულ-ინსპექტორი;
ე) უმცროსი პატრულ-ინსპექტორი;
ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორები მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორია.

აღნიშნულ პირებს ევალებათ აგრეთვე აწარმოონ შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების აღრიცხვა.

რადგან სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ ორგანოს, რომელიც ამკრძალავ ღონისძიებებს უყენებს პიროვნებას, შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად ნარედგინება სასამართლოს მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში.

თუ პირმა დაარღვია სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ან შემაკავებელი ორდერი – ინვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, გათვალისწინებულს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

მუხლი 11. დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, ანუ იმ პირს ვინც უშუალოდ განიცადა მოძალადის მხრიდან ძალადობა. კანონის ამ მუხლიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ მსხვერპლს აქვს უფლება უშუალოდ მიმართოს საკანონმდებლო დაცვის გარანტიებს თავისი ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აქედან გამომდინარე, სხვა პირებს, რომლებიც ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე არ შედიან ოჯახის შემადგენლობაში, არა აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით.

ოჯახის წევრებს უფლება აქვთ მიმართონ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს, ოჯახის ერთი წევრისაგან მეორე წევრის დაცვის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი აქტი მიმართულია კონკრეტული პირის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. თუმცა ოჯახის წევრის სტატუსი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც პირისა, რომელიც უნდა ზრუნავდეს და პატივს სცემდეს მეორე ოჯახის წევრს და იცავდეს მის ინტერესებს, შესაბამისად ოჯახის წევრს აქვს პროცესუალური უფლება მიმართოს საკანონმდებლო დაცვის მექანიზმებს.

შესაძლებელია:

ა) მსხვერპლი დათრგუნული იყოს ძალადობით;
ბ) ეშინოდეს მასზე დამატებით ძალადობრივი აქტის განხორციელების;
გ) განიცდიდეს ოჯახის სხვა წევრების მიმართ შიშს;
დ) იყოს მათი მხრიდან მუდმივი ძალადობის ობიექტი;
ე) არ სურს განცხადების შეტანის გამო გახდეს მორიგი ძალადობის პირდაპირი ობიექტი;
ვ) დათრგუნულია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას თავად მიმართოს სასამართლოს მოძალადისაგან დაცვის მიზნით.

ამ შემთხვევაში განცხადებას სასამართლოში, მსხვერპლის თანხმობით, წარადგენს პირი, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ჩვენი შეხედულებით აღნიშნულ მუხლში მოცემული პირები, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენენ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ წარმომადგენლებს და არა აქვთ ვალდებულება შეიტანონ განცხადება და მისი განხილვის ეტაპზე წარადგინონ სასამართლოში წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თანდართული მასალებით უნდა მტკიცდებოდეს, რომ განცხადების ავტორი არის მსხვერპლის იურისტი/ექიმი/ფსიქოლოგი და მსხვერპლს ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას თავად შეიტანოს განცხადება ორდერის გამოცემის მოთხოვნით.

პრაქტიკაში მესამე პირის მიერ დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ განცხადების განხილვისას უცილობლივ წარმოიშობა კითხვა, რომელზეც ვერ იძლევა პასუხს როგორც წინამდებარე კანონი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ის ნორმები (თავი VII[3] – ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით), რომლითაც დადგენილია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის პროცესუალური წესი. კერძოდ, რა ფორმით (წერილობით თუ ზეპირად) უნდა იქნეს გაცემული მსხვერპლის თანხმობა.

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართვის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი – მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია ასეთი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების წარმოებაში მიღება წერილობითი თანხმობის გარეშე.

სასურველია თანხმობა წარდგენილი იქნას სასამართლოში წერილობითი ფორმით. თუმცა ერთეულ შემთხვევებში, თუ მსხვერპლის ფიზიკური ან

ფსიქოლოგიური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მიგვაჩნია, რომ საქმის წარმოებაში მიღების სტადიაზე სასამართლო უნდა „ენდოს“ განცხადების ავტორს (მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი) მსხვერპლის ზეპირი თანხმობის არსებობის თაობაზე და უნდა მიიღოს განცხადება წარმოებაში.

მაგრამ ასეთი ფორმით წარმოდგენილი განცხადების განხილვის დროს სასურველია დადასტურებული იქნეს უშუალოდ მსხვერპლის მიერ განცხადების განხილვისას, ან განცხადების შეტანისას წარმოდგენილი იქნეს იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ განცხადების წარმომდგენი პირი არის მსხვერპლის მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი და საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე მსხვერპლს არ შეუძლია თვითონ წარმოადგინოს განცხადება ან მონაწილეობა მიიღოს განცხადების განხილვაში.

თუ დაცვის სუბიექტი (მსხვერპლი) არ დაესწრება სასამართლო სხდომას და მოსამართლე ფაქტობრივი მდგომარეობის გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მსხვერპლის მდგომარეობა იძლეოდა საშუალებას, რათა მის მიერ თანხმობა განხორციელებულიყო წერილობითი ფორმით, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია განცხადება განიხილოს და გადაწყვეტილებით უთხრას უარი განცხადების წარმდგენს დამცავი ორდერის გამოცემაზე. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს ჩვენის აზრით წარმოადგენს შემდეგი:

განსახილველ შემთხვევაში მოიაზრება, რომ ექიმის/იურისტის/ფსიქოლოგის მიერ ვერ დასტურდება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის აღკვეთის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება. (უფლებამოსილების განხორციელების პროცესუალური შესაძლებლობა)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს და მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ „დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.“ ამავე კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „....თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.....“. სსსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტით კი, პირის მიერ სარჩელის (განცხადების) აღძვრაზე უფლებამოსილების დაუდასტურებლობა, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების საფუძველია („თუ სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება“).

ოჯახში ძალადობის საკითხზე დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის შემთხვევაში საქმის განხილვისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[3] მუხლის მე-6 ნაწილი. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპზე ან საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე აღმოაჩენს რომ განცხადება დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება ის განიხილავს განცხადებას და სასამართლო გადაწყვეტილებით ეტყვის უარს არაუფლებამოსილ პირს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც ერთჯერადად გასაჩივრდება იმავე სასამართლოში. აღნიშნული პროცედურა მნიშვნელოვანია ეფექტური მართლმსაჯულებისა და საქმის შემჭიდროებულ ვადებში განხილვის უზრუნველყოფისათვის.

კიდევ ერთი გამონაკლისი, რომელიც გვხვდება ამ მუხლში არის ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლინება. ამ შემთხვევაში გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირებისა, სასამართლოსადმი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს. ეს ის შემთხვევაა როდესაც ორივე ან ერთ-ერთი მშობელი მოძალადეა და ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, ამ შემთხდვევაში მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო, როგორც ბავშვზე ზრუნვის ორგანო, ითავსებს არასრულწლოვანის დაცვის ფუნქციას (დღეის მდგომარეობით რესურს ცენტრები ახორციელებენ აღნიშნულ ფუნქციას) და ვალდებულია იმოქმედოს უპირატესად ბავშვის ინტერესების გათვალსწინებით. ბავშვი უმშობლოდ რომ არ დარჩეს, რა არის უმჯობესი ამ შემთხვევაში – მშობლები გავაფრთხილოთ, გამოვიყენოთ მათ მიმართ იძულების და ქმედებისაგან თავის შეკავების სხვა მეთოდები, იმისათვის, რომ ბავშვს უფრო მძიმე ტრამვა არ მივაყენოთ მშობლების არყოფნით ან მიახლოების აკრძალვით. ამ შემთხვევაში განათლების სამინისტროს კომპეტენტური ორგანო, უპირველესად ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შევიდეს სასამართლოში ორდერის გამონერის მოთხოვნით. სასამართლომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მოძალადეების ოჯახის სხვა წევრების და ბავშვის ფსიქო – სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა მიიღოს ისეთი ღონისძიება, რომელიც უმჯობესი იქნება ბავშისათვის და მისი მომავალი განვითარებისათვის. გამოყენებულმა ღონისძიებამ მშობლების მიმართ უფრო მძიმე და არახელსაყრელ პირობებში არ უნდა ჩააგდოს ბავშვი.

მუხლი 12. დამცავი ორდერის მოქმედების ვადა

1. დამცავი ორდერი გამოიცემა 3 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

2. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხს განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და

დამატებით არა უმეტეს 3 თვის ვადით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

3. დამცავი ორდერის მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით სასამართლოსათვის მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტისა და ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

დამცავი ორდერი გამოიცემა სამ თვემდე ვადით, ანუ მაქსიმალური ვადა ორდერის მოქმედებისა არის სამი თვე, რაც იმას ნიშნავს რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი ვადა ერთი დღიდან სამ თვემდე (მაგ. 5 დღე, ერთი კვირა, ორი თვე).

თუ არსებობს პოტენციური საშიშროება იმისა, რომ მოძალადე კვლავ განახორციელებს ძალადობრივ აქტს მსხვერპლის მიმართ, მას კვლავ შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ორდერის მოქმედების ვადის გაზრდა. დამცავი ორდერი ფორმდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოცემის გზით და განისაზღვრება პირის (მოძალადის) მიმართ შემზღუდველი ღონისძიებები და ორდერის მოქმედების ვადა აღნიშნულის გათვალისწინებით. ერთადერთი ორგანო, რომელსაც აქვს უფლებამოსილება გაზარდოს შემზღუდველი ღონისძიებების ვადა არის სასამართლო.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ორდერის მოქმედების პერიოდში, ანუ თუ ორდერი გამოცემულია 2 თვის ვადით, ამ ვადაში შესაძლებელია ვადის გაზრდის მოთხოვნა, მაგრამ არაუმეტეს დამატებით სამი თვის ვადისა, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ საშიშროების გამოვლენის ან ძალადობის განმეორებით ჩადენის საფრთხის შემთხვევაში, შესაძლებელია მსხვერპლმა კვლავ მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შეუზღუდავად.

იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი მიმართავს სასამართლოს დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაზრდის მოთხოვნით, საქმე სასამართლოს მიერ განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით დადგენილი წესით, ანუ იგივე წესით და პროცედურით როგორც იხილება განცხადება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით. დამცავი ორდერის ვადის გაგრძელების შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება.

კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ არ ითვალისწინებს მიმართვას ორდერის პირობების გაზრდის ან შემცირების მოთხოვნით. ჩვენი აზრით ეფექტური მართლმსაჯულებისა და საქმის შემჭიდროებულ ვადებში განხილვის უზრუნველყოფის მიზნით (საპროცესო ეკონომიის) აუცილებელია კანონში შევიდეს იმდაგვარი ცვლილება, რომ მხარეს მიეცეს საშუალება, როგორც ორდერის მოქმედების პერიოდში, ისე ორდერის მოქმედების ვადის გაზრდასთან ერთად, არსებული მდგომარეობის შესაბამისად მოითხოვოს დამცავი ორდერით დადგენილი პირობების გაზრდა, შეცვლა ან შემცირება.

დღეის მდგომარეობით კი მსხვერპლი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს საქმის გარემოებიდან გამომდინარე მხოლოდ ვადის გაგრძელების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში თუ სურს ორდერის პირობების შეცვლა, გაზრდა უფლებამოსილია ორდერის ვადის გასვლის შემდგომ მოითხოვოს კვლავ ახალი დამცავი ორდერის გამოცემა მხოლოდ სხვა პირობებით. რაც შეეხება ორდერის ვადის ამოწურვამდე მისი პირობების შემცირებას აღნიშნული შესაძლებელია ახალი განცხადებით რასაც სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით დადგენილი წესით და გამოიტანს გადაწყვეტილებას.

დამცავი ორდერი სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისათვის, მაგრამ თუ შეიცვალა გარემოება რადიკალურად და მხარეები ერთობლივი განცხადების საფუძველზე მიმართავენ სასამართლოს ორდერის გაუქმების მოთხოვნით, სასამართლო განიხილავს ამ განცხადებას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით დადგენილი წესით, შეამოწმებს გარემოებებს, ნების თავისუფლად გამოხატვის საფუძვლებს და წყვეტს ორდერის მოქმედების პირობებს.

ჩვენის აზრით, მხარეთა განცხადების განხილვა უნდა განხორციელდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[3] მუხლით დადგენილი დამცავი ორდერის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

სასამართლოს აქვს უფლებამოსილება არ გააუქმოს დამცავი ორდერი თუ მიიჩნევს რომ მოძალადის მხრიდან არსებობს პოტენციური საფრთხე ძალადობის ხელმეორედ ჩადენისა, ან მიიჩნევს, რომ მხარეებს შეცდომაში შეჰყავთ სასამართლო, რადგან სახეზეა არა ნების თავისუფალი გამოხატვა, არამედ მსხვერპლის დაშინების (იძულების) გამო ხდება სასამართლოსთვის მიმართვა ორდერის გაუქმების თაობაზე.

ვინაიდან დამცავი ორდერის მოქმედება მორიგებით არ შეწყდება, ასევე პირობები არ გაუქმდება, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით გაგრძელებულია ორდერის მოქმედების ვადა, და/ან ორდერის პირობები ეხება ოჯახის სხვა წევრის, უპირველესად ბავშვის ინტერესებს. ისევე, როგორც განცხადების განხილვის წესის შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ მორიგების მოტივით დამცავი ორდერის

გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[3] მუხლის პირობების შესაბამისად.

მუხლი 13. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების დროს

მხარეთა შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას, ან არ იწვევს გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების გაუქმებას, თუ ოჯახში ძალადობის ფაქტი ლახავს ოჯახის სხვა წევრთა, განსაკუთრებით - ბავშვის ინტერესებს.

ამ მუხლის კომენტარისას უნდა განვიხილოთ ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც საქმე ეხება დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემას, მეორე - გამოცემული ორდერის მოქმედების გაუქმებას. ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგება, ე.ი. მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება არ შეიძლება იყოს ორდერის გამოცემის შეფერხების საფუძველი, რადგან შესაძლებელია მსხვერპლი და მოძალადე შერიგდნენ. მაგრამ ორდერის განმხილველი ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს გარემოება, მოძალადის ქმედება, მისი ძალადობა ხომ არ ეხება ოჯახის სხვა წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვის ინტერესებს. სასამართლო განხილვის დროს, მსხვერპლმა შერიგების და მორიგი პატიების გამო, მოითხოვა შემაკავებელი ორდერის არ დამტკიცება. მიუხედავად ამისა, მოსამართლის მიერ დამტკიცებული იქნა შემაკავებელი ორდერი, თუმცა მართალია მხარეები შერიგდნენ, მაგრამ მოძალადის საქციელით ილახებოდა როგორც ბავშვების, ისე ოჯახში მცხოვრები მოხუცი მშობლების ინტერესები, რადგან მსხვერპლთან უთანხმოების, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის დროს, ძალადობის ობიექტები არაერთხელ იყვნენ ისინიც. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ, როდესაც საქმე ეხება უკვე გამოცემული ორდერის გაუქმებას.

ელენე და გიორგი იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ 2 შვილი. ელენე მუშაობს გარდაბნის რ/ნ-ის საკრებულოში. ელენეს მეუღლესთან აქვს მუდმივი კონფლიქტი და დაძაბული ურთიერთობა, რაც ხშირად გამოიხატება ჩხუბში და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიური ძალადობა ელენეზე და ბავშვებზე გრძელდება 1997 წლიდან. 2008 წლის 2 თებერვალს, ყოფით ნიადაგზე, არაფრის გამო კვლავ მოხდა კონფლიქტი მეუღლეებს შორის, რაც გამოიხატა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ელენესა და ბავშვების მიმართ. კონფლიქტისას გიორგი გაედევნა ელენეს მოსაკლავად, რის შემდეგაც ელენემ შეძლო გაქცეულიყო მეზობელთან, შეეფარებინა თავი და ღამე გაეთენებინა. მთელი ღამის განმავლობაში მოძალადე მამამ ბავშვებს არ მისცა დაძინების

საშუალება და მათივე განმარტებით ელოდებოდა ელენეს, რათა მოეხდინა მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება.

ელენეს მეუღლესთან არაერთხელ ჰქონია საუბარი შეეწყვიტათ ერთად თანაცხოვრება, მაგრამ გიორგის ამის გაგონება არ სურს და ემუქრებოდა ფიზიკური განადგურებით. ოჯახში კონფლიქტის გამო მუდმივად სტრესულ და დაძაბულ მდგომარეობაში არიან ბავშვები და ელენეს მოხუცი მშობლები, რომლებიც არაერთხელ გამხდარან ძალადობის და სიტყვიერი შეურაცხყოფის პირდაპირი თუ ირიბი ობიექტები. ელენემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა ოჯახში ძალადობის ფაქტზე, გიორგის მოძალადედ ცნობა და მისთვის იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც იმყოფება თვითონ, ბავშვები და მისი მშობლები.

სასამართლოში საკითხის განხილვისას, გიორგიმ აღიარა მისი მხრიდან ოჯახის წევრებზე ძალადობის ფაქტები, ითხოვა პატიება და განაცხადა, რომ სურდა მეუღლესთან შერიგება. ელენე დაეთანხმა მეუღლეს და მორიგების მოტივით სთხოვა მოსამართლეს არ გამოეცა დამცავი ორდერი.

მოცემულ შემთხვევაში მე-13 მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სასამართლოსათვის მხარეთა შერიგება არ უნდა გახდეს შემაფერხებელი გარემოება და ვინაიდან, სახეზეა გიორგის მხრიდან ძალადობის ფაქტით ოჯახის სხვა წევრების, მათ შორის ბავშვების ინტერესების შელახვა, გამოცემულ უნდა იქნას დამცავი ორდერი.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ადმინისტრაციული სამართლაწარმოება, თუნდაც ინკვიზიციურობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, დაფუძნებულია მხარეთა ნებაზე და ზოგადად არ უშვებს მოთხოვნის ავტორის ნების საწინააღმდეგოდ საქმის განხილვას, მითუმეტეს მასზე გადაწყვეტილების მიღებას, კანონმდებელმა ამ შემთხვევაში დაუშვა გამონაკლისი, ვინაიდან მიიჩნია, რომ კანონით დასაცავ სუბიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ განცხადების აღმძვრელი პირი (ელენე), არამედ დაცვის ობიექტს წარმოადგენენ აგრეთვე ის პირები (ოჯახის წევრები), რომელთაც ძალადობის ფაქტის გამო ადგებათ ზიანი. სასამართლოს მოვალეობაა, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება ოჯახის წევრების მიმართ არ დაუშვას გამონაკლისი და გამოიტანოს გადაწყვეტილება ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით, რადგან მათ შეიძლება განიცადონ ძალადობა და არ იქნენ დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იძლევა პირდაპირ განმარტებას ვის მიმართ უნდა დამტკიცდეს ორდერი – მხოლოდ ელენეს მიმართ, ელენესა და ოჯახის წევრების მიმართ თუ მარტო ოჯახის წევრების მიმართ – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხს სასამართლო უნდა მიუდგეს ინდივიდუალურად.

თავი IV
ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები

მუხლი 14. ბავშვის განცალკევება მოძალადე მშობლისაგან

1. ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობა უპირობო საფუძველია იმისა, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით დაისვას მოძალადე მშობლისაგან მისი განცალკევების საკითხი. სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიების სახით დამცავი ორდერით არეგულირებს მოძალადე მშობლისაგან ბავშვის განცალკევების საკითხს.

2. ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების არსებობისას ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლო განიხილავს ბავშვთან მოძალადე მშობლის ურთიერთობის საკითხს.

3. ბავშვის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა ბავშვის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისათვის ბავშვის ერთობლივი მეურვეობის უფლების დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.

ბავშვზე ფიზიკური კვალის არსებობა, წარმოადგენს უპირობო საფუძველს იმისათვის, რომ აღიძრას საკითხი სასამართლოს წინაშე მოძალადე მშობლისაგან ბავშვის განცალკევების შესახებ. მოცემული მუხლი არ აწესებს არანაირ დამატებით მოთხოვნას და სხვა მტკიცებულების წარდგენის აუცილებლობას. ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ფიზიკური ძალადობის კვალი მოძალადის ქმედების შედეგია. ამ შემთხვევაში აუცილებელია ბავშვის ინტერესებიდან და მის მიმართ ფიზიკური ძალადობის მომავალი გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით, განრიდებულ იქნეს ბავშვი ოჯახის წევრისაგან. სასამართლომ თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა მექანიზმი, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მოძალადისა და ბავშვის ურთიერთკავშირი.

მაგალითად, სასამართლოში შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით მიმართა საპატრულო პოლიციას 13 წლის გოგონას დეიდამ და აღნიშნა, რომ

ბავშვს მამა გარდაცვლილი ჰყავდა, ხოლო დედა თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, უსაფუძვლოდ, მუდმივად აყენებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას შვილს. შვილი გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, გაიქცა სახლიდან და თავი შეაფარა დეიდის ოჯახს. დედა კატეგორიულად მოითხოვდა გოგონას სახლში დაბრუნებას და დეიდის ოჯახში მორიგი უთანხმოების გამო, მოხდა საპატრულო პოლიციის გამოძახება. საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ გამოკვლეული იქნა ფაქტობრივი გარემოებები, გამოკითხული იქნა ასევე ოჯახში მცხოვრები ბებია, გოგონას და, რომელთაც ასევე დაადასტურეს დედის მხრიდან ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები. შედეგად სასამართლოს მიერ დამტკიცებული იქნა შემაკავებელი ორდერი და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ბავშვი გარიდებული იქნა მშობლისაგან (დედისაგან) ერთი თვის ვადით და ბავშვის დეიდის თანხმობის შემდეგ დაევალა მას მზრუნველობა მსხვერპლზე შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში. ამასთან საქმეში ჩართული იქნა განათლების სამინისტრო, რომლის მიერ ერთთვიანი დაკვირვებისა და გარემოებების გამოკვლევის შემდგომ წარმოდგენილი იქნა რეკომენდაცია ბავშვისა და მშობლის შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით დადგენილი წესით, თუ მხარე (მსხვერპლი, ოჯახის სხვა წევრი, ან იურისტი, ან ექიმი) მიმართავს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით ბავშვის მიმართ, ამასთან, საქმის მასალები იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ფიზიკური ძალადობის კვალი გამოწვეულია მოძალადის ქმედებით, ამ შემთხვევაში საქმის განხილვამდე და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოცემულ მუხლზე დაყრდნობით მოსამართლე მსჯელობს დროებითი ღონისძიების სახით ბავშვის მოძალადისაგან განცალკევების საკითხის შესახებ. ავტორთა აზრით საკითხის მნიშვნელობიდან (ბავშვის უსაფრთხოება) გამომდინარე, დროებითი ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა განხილული უნდა იქნას იმავე დღეს ზეპირი მოსმენის გარეშე. ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. ბავშვთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიების საკითხზე გამოტანილ უნდა იქნას განჩინება, რომელიც სსსკ-ის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად არ უნდა დაექვემდებაროს გასაჩივრებას. ამასთან, მითითებულ უნდა იქნას, რომ განჩინება მოქმედებს საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სასამართლო ვალდებულია, როდესაც ძალადობის სუბიექტს წარმოადგენს არასრულწლოვანი, განიხილოს მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლობის უფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობის საკითხი. სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე რამდენადაა სასარგებლო ან საზიანო იმ მშობლის წარმომადგენლობის უფლების დატოვება ბავშვზე, რომელმაც განახორციელა ძალადობა არასრულწლოვანის მიმართ.

მშობლისა და ბავშვის შეხვედრას უნდა ესწრებოდეს პასუხისმგებელი პირი (სასამართლოს მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი ოჯახის ნევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს (განათლების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს) წარმომადგენელი, ერთ – ერთი მშობელი და სხვა პირი სასამართლოს შეხედულებისამებრ.

ნებისმიერ შემთხვევაში მოძალადე მშობელთან ბავშვის ურთიერთობისას შერჩეული უნდა იქნას ისეთი ადგილი სადაც ბავშვის უსაფრთხოება ან რისკი ბავშვის მოტაცებისა მინიმუმადე იქნება დაყვანილი.

ბავშვის მონახულების პირობებს სასამართლოს სთავაზობენ მხარეები. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს და შემოთავაზებულ პირობებს ბავშვის მონახულების ადგილის შესახებ და ამის შემდეგ უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მიუხედავად მე-15 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული პირობებისა საკმარისად არ არის დარეგულირებული მოძალადე მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის საკითხი, ან ბავშვი ძალადობისაგან და გატაცებისაგან არ არის საკმარისად დაცული, ან ვერ იქნება საკმარისი პირობები ბავშვის უსაფრთხოებისა, მაშინ სასამართლო სრულად შეზღუდავს მოძალადე მშობელს და არ მისცემს მას უფლებას მოინახულოს ბავშვი ორდერის მოქმედების პერიოდში.

თუ სასამართლო გადაწყვეტილებით ბავშვის მონახულების უფლება შეზღუდული ექნება მოძალადე მშობელს 3 თვეზე მეტი ვადით, მაშინ მშობელს, რომლის უფლებაც შეზღუდულია შეუძლია მიმართოს სასამართლოს 3 თვის გასვლის შემდგომ ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ (ანუ იმ პირმა რომელიც თვლის რომ მისი უფლება იზღუდება) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით ორდერის პირობების – ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის შესახებ.

ვინაიდან, ორდერის მოქმედების ვადა ერთჯერადად არ აღემატება 3 თვეს მოიაზრება, რომ მოძალადეს მიმართ ერთჯერადად მაინც გაგრძელებული იქნა ორდერის პირობების მოქმედების ვადა. აღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით (შუამდგომლობით) ბავშვის მონახულების ორდერით დადგენილი პირობების შეცვლის შესახებ. ამავე დროს მშობელი უფლებამოსილია მიუთითოს ახალ გარემოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო მონახულების პირობებს. როგორც ამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის ანხილვისას, ასევე ამ შემთხვევაშიც, მიგვაჩნია, რომ განცხადებას (შუამდგო-

კანონის თანახმად ბავშვის ინტერესს სასამართლოზე წარმოადგენს მისი მშობელი. თუ სახეზეა მშობლის მხრიდან ძალადობა და იძულების ზომები მიმართულია მშობლის მიმართ, ის ხდება ამ კანონის ზემოქმედების უშუალო ობიექტი, ამ შემთხვევაში მას სასამართლოში უნდა შეეზღუდოს წარმომადგენლობის უფლება ამ კონკრეტულ საქმეზე.

მუხლი 15. ბავშვის მოტაცების თავიდან აცილებისა და სხვა სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების ვადებს. მშობელს ბავშვის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ბავშვის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და პირს, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე.

2. თუ ბავშვის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლება. თუ აღნიშნული შეზღუდვა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მშობელს, რომლის უფლებაც იზღუდება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით.

3. მოძალადის მიერ ბავშვის მოტაცების ან სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას სასამართლო გადაწყვეტილებით მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მისი მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე.

კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ცალკე არეგულირებს იმ საკითხებს, რომელიც ეხება არასრულწლოვნებს, ბავშვებს და მათ დაცვას უსაფრთხოების და მოტაცების თავიდან აცილების უზრუნველყოფას სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცამისას. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მისი პერიოდული კონტაქტი მოძალადესთან, უნესებს მას გარკვეულ დროს ბავშვთან ურთიერთობისათვის, მაშინ სასამართლოს მიერ განსაზღვრული უნდა იქნას ბავშვის მონახულების ადგილი, დრო, პერიოდულობა და ხანგრძლივობა. განსაზღვრული უნდა იქნას ასევე ის პირი, რომელიც ამ პერიოდში უზრუნველყოფს არასრულწლოვნის უსაფრხობას.

მშობლისა და ბავშვის შეხვედრას უნდა ესწრებოდეს პასუხისმგებელი პირი (სასამართლოს მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი ოჯახის წევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს (განათლების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს) წარმომადგენელი, ერთ – ერთი მშობელი და სხვა პირი სასამართლოს შეხედულებისამებრ.

ნებისმიერ შემთხვევაში მოძალადე მშობელთან ბავშვის ურთიერთობისას შერჩეული უნდა იქნას ისეთი ადგილი სადაც ბავშვის უსაფრთხოება ან რისკი ბავშვის მოტაცებისა მინიმუმადე იქნება დაყვანილი.

ბავშვის მონახულების პირობებს სასამართლოს სთავაზობენ მხარეები. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს და შემოთავაზებულ პირობებს ბავშვის მონახულების ადგილის შესახებ და ამის შეზდეგ უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მიუხედავად მე-15 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული პირობებისა საკმარისად არ არის დარეგულირებული მოძალადე მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის საკითხი, ან ბავშვი ძალადობისაგან და გატაცებისაგან არ არის საკმარისად დაცული, ან ვერ იქნება საკმარისი პირობები ბავშვის უსაფრთხოებისა, მაშინ სასამართლო სრულად შეზღუდავს მოძალადე მშობელს და არ მისცემს მას უფლებას მოინახულოს ბავშვი ორდერის მოქმედების პერიოდში.

თუ სასამართლო გადაწყვეტილებით ბავშვის მონახულების უფლება შეზღუდული ექნება მოძალადე მშობელს 3 თვეზე მეტი ვადით, მაშინ მშობელს, რომლის უფლებაც შეზღუდულია შეუძლია მიმართოს სასამართლოს 3 თვის გასვლის შემდგომ ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ (ანუ იმ პირმა რომელიც თვლის რომ მისი უფლება იზღუდება) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით ორდერის პირობების – ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის შესახებ.

ვინაიდან, ორდერის მოქმედების ვადა ერთჯერადად არ აღემატება 3 თვეს მოიაზრება, რომ მოძალადეს მიმართ ერთჯერადად მაინც გაგრძელებული იქნა ორდერის პირობების მოქმედების ვადა. აღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით (შუამდგომლობით) ბავშვის მონახულების ორდერით დადგენილი პირობების შეცვლის შესახებ. ამავე დროს მშობელი უფლებამოსილია მიუთითოს ახალ გარემოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო მონახულების პირობებს. როგორც დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, ასევე ამ შემთხვევაშიც, მიგვაჩნია, რომ განცხადებას (შუამდგო-

მლობას) მონახულების პირობების შეცვლის შესახებ სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით დადგენილი წესით, ანუ 21[13] მუხლით დადგენილი დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მოძალადე მშობელს უფლებას მისცემს მოინახულოს ბავშვი, მაგრამ შემდგომ გამოიკვეთება გარემოება, რომ მონახულების პირობები და სხვა თანმდევი გარემოებები არის მაღალი რისკის მატარებელი და ნარმოიშვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის უსაფრთხოებას, სასამართლო უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ, აუკრძალოს მოძალადე მშობელს ბავშვის მონახულება ანუ შეცვალოს ურთიერთობის პირობები.

ჩვენი აზრით, სასამართლო განცხადებას (შუამდგომლობას) მონახულების პირობების შეცვლის თაობაზე განიხილავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[13] მუხლით დადგენილი წესით.

მონახულების პირობების შეცვლის შესახებ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ერთჯერადად საჩივრდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით დადგენილი წესით.

მიზაშეწონილად მიგვაჩნია ბავშვის მოტაცების თავიდან აცილებისა და სხვა სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერი გადაეგზავნოს შესაბამის ორგანოებს, მაგალითად: საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას და სხვა შესაბამის ინსტიტუტებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი V
ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოების თავისებურებანი

მუხლი 16. პოლიციის მოვალეობანი

1. პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. პოლიციას არა აქვს უფლება, ოჯახში ძალადობის შემთხვევა მიიჩნიოს ნაკლებმნიშვნელოვნად ძალადობის სხვა შემთხვევებთან შედარებით.
2. ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა.
3. ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:

ა) მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად;

ბ) განცალკევებულად გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, ბავშვი, რაც წერილობით უნდა დააფიქსიროს;

გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;

დ) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;

ე) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და ბავშვის გადაყვანა თავშესაფარში;

ვ) მსხვერპლის სხვა ადგილას გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს საცხოვრებელი ადგილიდან მისი პირადი ნივთების წამოღება;

ზ) უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;

თ) ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი.

4. პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც

წარუდგენს ზედამხედველ პროკურორს.
5. პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლთა რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ.

პოლიციას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის კუთხით. პირველები სწორედ პოლიციელები ეჯახებიან თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების პროცესში ოჯახში ძალადობის ფაქტებს, მათ უხდებათ უკვე ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე აღკვეთონ ძალადობა ოჯახში, განაცალკეონ მოძალადე და მსხვერპლი და მოძალადის მიმართ დააწესონ კანონით გათვალისწინებული ადეკვატური შემზღუდველი ღონისძიებები.

აღნიშნული მუხლის ამგვარად ფორმირება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე ოჯახში ძალადობის გამოვლინების შემთხვევაში გამოიყენებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმები, რადგან თავად ოჯახში ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები სსკ-იდან გამომდინარე ფორმულირებით განიხილება კერძო ბრალდების საქმედ.

მსხვერპლის მიერ შეტანილი განაცხადი (საჩივარი) მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უმრავლეს შემთხვევაში მსხვერპლის მიერვე ხდებოდა გამოთხოვილი. ამასთან, პოლიცია არ თვლიდა ოჯახში ჩადენილ ქმედებას მნიშვნელოვნად და რეაგირება ხდებოდა მათი მხრიდან მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ოჯახში ჩადენილი ძალადობა გამოხატული იყო სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ან მკვლელობის ფორმით. ყოველივე ზემოალნიშნულიდან გამომდინარე ადამიანებს არ შეეძლოთ პოლიციის უმოქმედობისა და ზოგჯერ მათ გამოც თავი დაეცვათ მოძალადისაგან, როგორც ძალადობის ჩადენის მომენტის შემდეგ, ასევე მომავალში.

ქვეყანაში არ არსებობდა კანონისმიერი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა მათ სამართლებრივ დაცვას მოძალადისაგან. პოლიციის იგნორირება აღნიშნულ ქმედებათა მიმართ ამ მხრივ გამოწვეული იყო რამოდენიმე ფაქტორით:

1. მიმდინარე არასწორი პრაქტიკით;
2. მოქალაქეთა მხრიდან მოძალადის მიტევებით და საჩივარზე უარის თქმით;
3. ძალდატანებითი მოჩვენებითი შერიგებით;
4. საზოგადოებრივი წარმოდგენებით, რომელიც ოჯახურ ძალადობას აღიქვამდა კონკრეტული ოჯახის პრობლემად და არა საზოგადოებრივ პრობლემად.

რადგან სსკ ძალადობის შემთხვევაში ითვალისწინებს მოძალადის – დამნაშავის დასჯას სისხლისსამართლებრივი წესით, მსხვერპლს ნაკლებად აწყობდა სისხლის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი საოჯახო კონფლიქტის დროს, რადგან ის არა დროული, ნაკლებად მოქნილი, არაადეკვატური და არაპრევენციული იყო.

პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, შეტყობინების მიღებისთანავე გამოცხადდეს შემთხვევის ადგილას და განახორციელოს უშუალო ჩარევა ოჯახური კონფლიქტის მოსაგვარებლად, განაცალცალეკვოს მოძალადე და მსხვერპლი, დაკითხოს ორივე და მოიპოვოს ინფორმაცია კონფლიქტის მომსწრე პირებისაგან (მოწმეები და მათ შორის ბავშვებიც), გაარკვიოს რეალურად ვინ არის მოძალადე და ვინ არის მსხვერპლი. აღნიშნული საკითხის გარკვევა უპირველესი და უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ შემდეგში პოლიციელის მიერ სწორად იქნას შერჩეული მოძალადის მიმართ კანონით გათვალისწინებული შემზღუდველი ღონისძიებები – კერძოდ, შემაკავებელი ორდერის გამოწერისა და მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიებების გატარების საკითხი, მსხვერპლისათვის დახმარების აღმოჩენისა და მოძალადისა და მსხვერპლის დროებითი იზოლაციის (განცალკევების) საკითხი.

პოლიციას არა აქვს უფლება მიიჩნიოს ოჯაში ძალადობის საქმე ნაკლებადმნიშვნელოვნად. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და მიუთითებს პოლიციის უპირობო ვალდებულებაზე ჩაერიოს და კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით აღკვეთოს ოჯაში კონფლიქტი.

კანონის განმარტებიდან გამომდინარე მნიშვნელობა არა აქვს ვინ შეატყობინებს პოლიციას ოჯახური კონფლიქტის შესახებ ოჯახის წევრი, თუ სხვა პირი. პოლიცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს შემთხვევის ადგილას და მოახდინოს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება ოჯახში კონფლიქტის აღკვეთის მიზნით.
პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს ძალადობის აღსაკვეთად კანონით გათვალისწინებული ადეკვატური რეაგირების ზომები; მაგ. თუ არსებობს დაბრკოლება ან რაიმე სახის ბარიერი, რომელიც არ იძლევა შესაძლებლობას მიუახლოვდეს მსხვერპლს და მოძალადეს (კარები ჩაკეტილია), ან მოძალადე ემუქრება მსხვერპლს (ოჯახის სხვა წევრს) განადგურებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი იყენებს „პოლიციის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის აღკვეთისათვის გამიზნულ ღონისძიებებს – კარების შენგრევა, ცეცხსასროლი იარაღის გამოყენება და ა.შ.

ოჯახში კონფლიქტის შემთხვევაში პოლიციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სავარაუდო მოძალადისა და სავარაუდო მსხვერპლის დაკითხვა, რაც უმნიშვნელოვანესია შემდეგი კანონისმიერი ზომების გასატარებლად. სავარაუ-

დო მოძალადისა და სავარაუდო მსხვერპლის დაკითხვა არის პირველადი ნაბიჯი კონფლიქტის მონაწილეთა განცალკევების შემდეგ. აქ პოლიცია ღებულობს პირველად ინფორმაციას კონფლიქტის მონაწილეებისაგან ოჯახური კონფლიქტის შესახებ. დაპირისპირებულ მხარეთაგან ობიექტური ინფორმაციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეყნებში, რომელთაც მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგ. აშშ-ში დაკითხვა ხდება შემდეგნაირად: დაკითხვაში მონაწილეობს ორი პოლიციელი, მათ გაჰყავთ კონლიქტის მონაწილე მხარეები ორ სხვადასხვა საპირისპირო მხარეს ერთმანეთის დაშორებით ისე, რომ მათ არ მიეცეთ საშუალება კვლავ შევიდნენ კონფლიქტში ან რაიმე სახის კამათში. კონფლიქტის მონაწილეები დგანან ერთმანეთთან ზურგით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პოლიციელებმა არ დაკარგონ ერთმანეთის მიმართ ვიზუალური კონტაქტი და მუდმივად ჰყავდეთ ერთმანეთი მხედველობის არეში.

სავარაუდო მსხვერპლს ჯერ ჰკითხავს ერთი პოლიციელი, მეორე კითხავს სავარაუდო მოძალადეს. შემდეგ პოლიციელები ცვლიან ერთმანეთს და ანაცვლებენ პოზიციას. კერძოდ: ის ვინც კითხავდა სავარაუდო მსხვერპლს, ეხლა გამოკითხავს სავარაუდო მოძალადეს და პირიქით. პოზიციების გაცვლისას კონფლიქტის მონაწილეები რჩებიან ადგილზე, ხოლო პოლიციელები ინაცვლებენ ახალი პოზიციის დასაკავებლად ისე რომ მხედველობის არედან არ ჰკარგავენ არც კონფლიქტის მონაწილეებს, არც ერმანეთს. ხელახალი დაკითხვის შემდეგ ისე რომ კონფლიქტის მონაწილეები არ იცვლიან ადგილს, პოლიციელებს მხედველობის არეში ჰყავთ ორივე მონაწილე კონფლიქტისა და ახდენენ ჩვენებების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის გაცვლას. ამის მიხედვით ადგენენ ვინ არის ოჯახურ კონფლიქტში მსხერპლი და ვინ მოძალადე. ეს არის ერთ-ერთი მეთოდიკა ჯვარედინი დაკითხვისა, რათა გამოვლენილ იქნას ოჯახში კონფლიქტის მსხვერპლი და მოძალადე.

აღნიშნული საკითხის სწორად გადაჭრას უმნიშვნელოვანესი და უპირველესი როლი აკისრია ოჯახური დავის მართებულად გადაწყვეტაში, რადგან ის ვინც ერთი შეხედვით შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც მსხვერპლი სავსებით შესაძლებელია, რომ იყოს მოძალადე. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის უფლებამოსილებას (მოვალეობას) დაკითხვის წარმოებისას არ წარმოადგენს იმის გარკვევა რატომ და რისთვის დაიწყო კონფლიქტი, ან არკვიოს ვინ არის მართალი და ვინ დამნაშავე.

პოლიციის მოვალეობაა ჩაერიოს ოჯახური კონფლიქტის დარეგულირებაში, აღკვეთოს ძალადობა, განაცალკეოს მხარეები, დაადგინოს ვინ არის მოძალადე და ვინ მსხვერპლი და გამოიყენოს მოძალადის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამონერისას ამკრძალავი ხასიათის ისეთი ღონისძიება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოებას და ახალი ძალადობის თავიდან აცილებას.

პოლიცია ასევე გამოკითხავს ფაქტის შესახებ მოწმეებს და ბავშვს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ბავშვი თავად არის ძალადობის მსხვერპლი მშობლების მხრიდან ამ შემთხვევაში მისი მშობლები არ შეიძლება იყვნენ მოწმეები და ბავშვის წარმომადგენლები (ინტერესების დამცველები) სასამართლოში.

აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ყოველივე ფიქსირდება წერილობით შემაკავებელი ორდერის ოქმში, რაზედაც ხელს აწერენ ზემოთ აღნიშნული პირები. (მოძალადე, მსხვერპლი, მოწმე). ოქმზე ხელის არმოწერის შემთხვევაში ხდება ამ ფაქტის დაფიქსირება შესაბამის გრაფაში.

პოლიცია მოძალადის და მსხვერპლის გამოვლენის შემდეგ მიანვდის ძალადობის მსხვერპლს ინფორმაციას მისი უფლებების შესახებ, კერძოდ განუმარტავს მას, რომ უფლება აქვს მოითხოვოს მოძალადის მიმართ შემზღუდველი ხასიათის ადეკვატური ღონისძიების გამოყენება და მიუთითოს პოლიციას სხვა გარემოებების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მისი და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას, რათა უკეთ იქნას დაცული მოძალადის შემდგომი ძალადობრივი ქმედებისაგან.

პოლიცია მსხვერპლს განუმარტავს აგრეთვე იმას, რომ მას და მისი ოჯახის წევრის მოძალადისაგან დაცვის, ძალადობის აღკვეთის, ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რაიონულ სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის და მოძალადის მიმართ შემზღუდავი ხასიათის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით. მსხვერპლს განემარტება ასევე, რომ უფლება აქვს მოითხოვოს მოძალადის განრიდება იმ ადგილიდან, სადაც მსხვერპლი და მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ, ანვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უფლება აქვს მოითხოვოს აეკრძალოს მოძალადეს მასთან და მისი ოჯახის წევრებთან მიახლოება და ყოველნაირი სახის კონტაქტი.

მსხვერპლს მიეწოდება ინფორმაცია იმის შესახებ რომ: თუ შეუძლებელია იმ საცხოვრისში გაჩერება, სადაც ისინი იმყოფებიან (მსხვერპლი და მაგ. შვილები), მათი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება თავშესაფარში გადაყვანით, გააცნობს მას ინფორმაციას თავშესაფრის, იქ ყოფნის პირობების შესახებ, უზრუნველყოფს მსხვერპლის და ბავშვის გადაყვანას თავშესაფარში. პოლიცია მსხვერპლის მოთხოვნით გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოფს ასევე მის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში.

პოლიცია მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოფს მხოლოდ მსხვერპლის პირადი ნივთების (პირადი გამოყენების ნივთების) გადატანას თავშესაფარში.

პოლიციის მიერ აუცილებელია აგრეთვე იმ პირთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, რომელთა მიერაც განხორციელდა ოჯაში კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის მინოდება. ნებისმიერ შემთხვევაში ინფორმაცია ამ პირების შესახებ უნდა იყოს კონფიდენციალური და არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის – მათ შორის უპირველესად მოძალადისათვის, რადგან შესაძლებელია აღნიშნული პირი გახდეს მოძალადის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი და საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ჩვენი აზრით პოლიციას მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰყავდეს ის პირი ვინც მიაწოდა ინფორმაცია მათ კონფლიქტის შესახებ და მოახდინოს მისი დაცვა მოძალადისაგან.

პოლიციის უფლებამოსილი პირი კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ოჯახში ძალადობის ფაქტზე, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცისა და დახმარების მიზნით, ახალი ძალადობის თავიდან აცილების და მსხვერპლის უსაფრთხოების მიზნით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და უნესებს მოძალადეს გარკვეული სახის შემზღუდველ ღონისძიებებს. როგორც აღვნიშნეთ, პოლიციელი ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მის მიერ ძალადობის აღსაკვეთად მიღებული და გამოყენებული ზომების შესახებ ადგენს შემაკავებელი ორდერის ოქმს, რომელშიც აისახება ძალადობის ფაქტი და მისი აღკვეთისათვის გამოყენებული ღონისძიებები. აღნიშნული ოქმი წარედგინება ზედამხედველ პროკურორს. აღნიშნული ქმედება ჩვენი აზრით ხორციელდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს ხომ არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს ოჯახში ძალადობის ფაქტი და ხომ არ არის საჭირო სხვა ზომების გამოყენება.

ნებისმიერ შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოწერისას და ამკრძალავი ღონისძიებების გამოყენებისას პოლიციის მიერ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ოჯახში ძალადობა უნდა იყოს პერმანენტული ხასიათის და არა იმწუთიერი, მყისიერი ქმედება, რომელიც წარმოიშვა კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარე. ოჯახური ძალადობა არის ფაქტი, რომელიც მეორდება გარკვეული დროის განმავლობაში და აქვს მრავალი თანმდევი შედეგები, განგრძობადია, იწვევს მსხვერპლის ფიზიკურ, სულიერ და სხვა სახის ტრამვას. სწორედ ამ შემთხვევაში ეძლევა უფლება პოლიციას გამოწეროს შემაკავებელი ორდერი მსხვერპლის დაცვის მიზნით და დაუნესოს გარკვეული სახის შეზღუდვები მოძალადეს.

პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტებზე აწარმოოს ცალკე სტატისტიკა და ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღსაკვეთად მიღებული ზომების, მსხვერპლთა რაოდენობისა, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ ანუ შექმნას სრული მონაცემთა ბაზა – ინფორმაცია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ.

თავი VI
ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები, მოქალაქეთა რეაბილიტაციის ღონისძიებები

მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი)

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

2. არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ თავშესაფრის შექმნა დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

3. თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება წესდებით (დებულებით), რომელიც განსაზღვრავს თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსებისა და მისი რეაბილიტაციის წესს.

საქართველოს კანონმა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ დაამკვიდრა სრულიად ახალი ცნება ქართული სამართლის სისტემისათვის, ეს არის ძალადობის მსხვერპლის დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი).

როგორც მე-17 მუხლის 1 ნაწილის განმარტებიდან გამომდინარეობს, თავშესაფრები იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში. ამავე მუხლის განმარტებით მსხვერპლთა თავშესაფრისათვის აუცილებელია შემდეგი მოთხოვნები: თავშესაფარში უნდა იყოს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები და აუცილებელია უზრუნველყოფდეს მსხვერპლის სამედიცინო/ფსიქოლოგიურ დახმარებას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიღებული ტრამვების გამო ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც გამოწვეულია მოძალადესთან ყოფნით, არანორმალური ყოფით ჩამოყალიბებული მძიმე სტრესით, რომელიც მსხვერპლს უვითარდება დროთა განმავლობაში. გამომდინარე აქედან, მსხვერპლთა თავშესაფარი უნდა უზრუნველყოფდეს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. ხშირ შემთხვევაში მსხვერპლი განიცდის ფიზიკურ ძალადობას და

შეიძლება ჰქონდეს სხეულის დაზიანებები, ამდენად, თავშესაფარში მოხვედრის დროს, მსხვერპლი უნდა იქნას სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი. თავშესაფარი შესაძლებელია შეიქმნას აგრეთვე არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირის ბაზაზე, აღნიშნული ტიპის თავშესაფრები ფუნქციონალურად და თვისობრივად არ განსხვავდებიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შექმნილი თავშესაფრებისაგან. მათ საქმიანობას კურირებას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის მიერაც შემუშავებული უნდა იქნას მინიმალური სტანდარტები, ან იმ მინიმალურ მოთხოვნათა ჩამონათვალი, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება, რათა მას მიეცეს მსხვერპლთა თავშესაფრის სტატუსი.

კანონის თანახმად თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება წესდებით (დებულებით), რომლითაც უნდა განისაზღვროს თავშესაფარში მსხვერპლთა მოთავსებისა და მათი რეაბილიტაციის პირობები. სხვადასხვა თავშესაფარს შესაძლებელია განსხვავებული პირობები ჰქონდეს თავშესაფარში მსხვერპლთა მოთავსებისა და მათი რეაბილიტაციისა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული ტიპის დაწესებულების საქმიანობა მიზანმიმართული უნდა იყოს მსხვეპლის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

მუხლი 18. მსხვერპლის მოთავსება თავშესაფარში

1. ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის იქ გადაყვანას.

2. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 2 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (დებულებით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს ზემოაღნიშნულ პერიოდზე მეტი ხნით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში მსხვერპლს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე.

მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრს ან იმ პირს ვინც მსხვერპლს უწევს სამედიცინო ან იურიდიულ დახმარებას, მსხვერპლის მოთხოვნით პოლიციას, უფლება აქვს მოითხოვოს მსხვერპლის და მისი ბავშვების, აგრეთვე ოჯახის იმ წევრების რომლებმაც განიცადეს ძალადობა, გადაყვანა თავშესაფარში. მსხვერპლის გადაყვანას და და მისი პირადი მოხმარების საგნების გადატანას თავშესაფარში უზრუნველყოფს პოლიცია -კონფიდეციალური წესების სრული დაცვით.

თავშესაფარში მსხვერპლის გადაყვანა ხდება 2 თვემდე ვადით, საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს თავშესაფრის დებულებით დადგენილი წესით. მსხვერპლს სრული უფლება აქვს დატოვოს თავშესაფარი ნებისმიერ დროს. მსხვერპლი თავშესაფარში ყოფნისას ემორჩილება თავშესაფარში ბინადრობის წესებს, შინაგანაწესს და დებულებას.

თავშესაფარში განთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ კვლავ არსებობს პოტენციური საფრთხე მოძალადის მხრიდან და შესაძლებელია მსხვერპლი კვლავ გახდეს ძალადობრივი მოპყრობის ობიექტი, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია გააფრთხილოს სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია) აღნიშნულის შესახებ. თავშესაფრიდან მსხვერპლის წასვლის შემდეგ პოლიციამ უნდა მიიღოს ყველა ზომები, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მსხვერპლის, ოჯახის სხვა წევრებისა და ბავშვის უსაფრთხოება, თავიდან იქნას აცილებული ძალადობის შემდგომი გამოვლინება.

მუხლი 19. ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შესახებ

მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მიღებული ინფორმაცია მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ კონფიდენციალურია. დაცულია ასევე ინფორმაცია თავშესაფრის ადგილმდებარეობის, მსხვერპლის იქ ყოფნის პირობების, ჩატარებული სამედიცინო – ფსიქოლოგიური ღონისძიებების შესახებ. ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ეხება მსხვერპლს და მის ყოფნას თავშესაფარში, თავშესაფრის ადგილმდებარეობის გამჟღავნების ჩათვლით, კონფიდენციალურია და შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 20. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები

მოძალადეთა დროებითი განთავსების ან/და მათი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შრომის, ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, ასევე არასამენარმეო იურიდიული პირის მიერ იქმნება მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენ-ტრები. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები უნდა აკმაყოფილებდეს სამინისტროს მიერ ამ ტიპის დანესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტან-დარტებს და უზრუნველყოფდეს მოძალადის დროე-ბით განთავსებას, მის ფსიქოლოგიურ დახმარებასა და მკურნალობას.

ისევე როგორც მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრები, ასევე ახალი მოვლენაა ქართული სამართლის სისტემისათვის მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ კანონის მიზანს არ წარმოადგენს მოძალადეთა დასჯა, არამედ კანონის ძირითადი დანიშნულებაა პრევენციული ღონისძიებების გამო-ყენებით შესაძლებელი გახდეს მაქსიმალური შედეგის მიღწევა. მოძალადემ პირვ-ელ რიგში უნდა გაითავისოს ჩადენილი ქმედების არამიზანშეწონილობა, იგ-რძნოს რომ ოჯახში ჩადენილი ძალადობრივი ქმედება იგივე კატეგორიის ასო-ციალური დანაშაულებრივი ქმედებაა, როგორც ოჯახის გარეთ ჩადენილი ნები-სმიერი დანაშაული, მივიდეს იმ დასკვნამდე რომ ძალადობა არ არის მიზნის და მისთვის სასურველი შედეგის მიღწევის საშუალება, გაითავისოს რომ ოჯახის სხვა წევრებსაც აქვთ უფლებები, რომელიც აღიარებული და დაცულია კანონით. ძალადობა დანაშაულია მისი ოჯახის წევრების, საზოგადოების წინაშე და ძალ-ადობის ჩადენის შემთხვევაში მოძალადე გახდება კანონით გათვალისწინებული შემზღუდველი ღონისძიებების ობიექტი. სარეაბილიტაციო ცენტრში მოძალადის განთავსების მიზანია ის, რომ მან აღარ ჩაიდინოს ძალადობა, მოხდეს მისი ფსიქო – სოციალური რეაბილიტაცია და შეიგნოს, რომ ძალადობის ჩადენით ის ხელს უწყობს ოჯახში მოძალადის ჩამოყალიბებას მისი შვილების სახით, ძალადობით ზიანს აყენებს საზოგადოებას და სახელმწიფოს.

მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები იქმნება საქართველოს შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში. კანონის თანახ-მად შესაძლებელია შეიქმნას აგრეთვე არასამენარმეო იურიდიული პირის ბა-ზაზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტიპის დანესებულებისათვის საქართვე-ლოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ მინიმალურ სტანდარტებს.

როგორც მსხვერპლთა თავშესაფრები, ასევე მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის, დანესე-ბულების ნესდების (შინაგანაწესის) საფუძველზე. სარეაბილიტაციო ცენტრში უნდა იყოს შესაბამისი პირობა იმისათვის, რომ მოძალადეს აღმოუჩინონ ფსიქოლოგიური დახმარება – მკურნალობა.

თავი VII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 21. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსასორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ კანონის VI თავის ამოქმედებამდე განსაზღვროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები და უზრუნველყოს მათი შექმნა.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2007 წლის 1 ივლისიდან განსაზღვროს სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმები და უზრუნველყოს შესაბამისი სოციალური მუშაკების მომზადება.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის ფაქტზე შემაკავებელი ორდერის ფორმის შემუშავება და დამტკიცება.
4. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 4 თვის ვადაში დაამტკიცოს სპეციალური გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებები.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრულია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ თავისი სტრუქტურების მეშვეობით ამ კანონით დამკვიდრებული მექანიზმების უკეთ ამოქმედებისა და ამოცანის უკეთ რეალიზების მიზნით.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით

მუხლი 21[12]. სასამართლოსათვის მიმართვა

1. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

2. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ოჯახში ძალადობისას სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე საქმე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავის შესაბამისად.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად ოჯახის წევრს, მსხვერპლს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ოჯახის წევრის მოძალადედ ცნობისა და მის მიმართ გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესების თაობაზე.

სხვა პირებს, რომლებიც ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე არ შედიან ოჯახის შემადგენლობაში, არა აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით მკაცრადაა რეგლამენტირებული იმ პირთა ჩამონათვალი რომლებსაც კანონით აქვთ მინიჭებული უფლება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის მიზნით მიმართონ სასამართლოს. ასეთ პირთა წრეს პირველ რიგში მიეკუთვნება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით მე-4 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები – დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე;

ოჯახის წევრი ოჯახში ძალადობის ფაქტზე სასამართლოში მიმართვისათვის არ საჭიროებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის საფუძველზე გაფორმებულ მინდობილობას. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე ოჯახის წევრი არ წარმოადგენს ოჯახის მეორე წევრს სასამართლოში გარიგებითი წარმომადგენლობის მინიჭების საფუძველზე, არამედ როგორც კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს განცხადებას სასამართლოში ოჯახის მეორე წევრის ძალადობისაგან დაცვის მიზნით. ერთადერთი რაც ამ შემთხვევაში ევალება განცხადების წარმდგენს არის ის, რომ დაადასტუროს ფაქტი – განეკუთვნება ზემოთმითითებული კანონით განსაზღვრულ პირთა წრეს და არის მსხვერპლის ოჯახის წევრი თუ არა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი აქტი მიმართულია კონკრეტული პირის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, ოჯახის წევრის სტატუსი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც პირისა, რომელიც უნდა ზრუნავდეს და პატივს სცემდეს მეორე ოჯახის ნევრს და იცავდეს მის ინტერესებს. აქედან გამომდინარე ოჯახის წევრს აქვს პროცესუალური უფლება მიმართოს საკანონმდებლო დაცვის მექანიზმებს.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავით ცალკე რეგულირდება ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურა. კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის მიმართ ძალადობისას მისი კანონიერი წარმომადგენელი სასამართლოში და განცხადების წარმდგენი შეიძლება იყოს მისი მშობელი, მეურვე ან მზრუნველი. თუ მშობელი (მშობლები) თავად წარმოადგენს (წარმოადგენენ) მხარეს სასამართლო პროცესზე და ძალადობა ხორციელდება მათი მხრიდან, ამ შემთხვევაში ისინი არ შეიძლება იყვნენ ბავშვის ინტერესების დამცველნი. ყოველ კონკრეტულ ინდივიდუალურ შემთხვევას სასამართლო განიხილავს იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ახასიათებს საქმეს და არ შეიძლება ცალსახად, ყველა შემთხვევისათვის, გამოვიყენოთ ანალოგიური მიდგომა. ბავშვის ინტერესების დამცველი და განცხადების შემტანი შეიძლება იყოს ოჯახის სხვა წევრი, თუ ის შეძლებს ბავშვის ინტერესების მიუკერძოებლად დაცვას და არ იქნება მოძალადის ზეგავლენის ქვეშ. ასეთი ოჯახის წევრის არყოფნის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში თუ ბავშვს არა ჰყავს მშობლები, ან მოძალადე თავად მშობელია, კანონის თანახმად, განცხადების წარდგენის უფლება სასამართლოში ეძლევა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, განათლების სამინისტროს სისტემაში აღარ არსებობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ამ უფლების პრაკტიკული გამტარებელი და განმახორციელებელია განათლების სამინისტროს რესურსცენტრი, ან მისი ტერიტორიული ორგანო მათი დებულების შესაბამისად.

კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო განცხადებას განიხილავს იმ შემთხვევებშიც, როდესაც სასამართლოს ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართავს არა უშუალოდ მსხვერპლი ან ოჯახის წევრი, არამედ პირი, რომელიც მას უწევს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და/ან იურიდიულ დახმარებას.

შესაძლებელია მსხვერპლი დათრგუნული იყოს ძალადობით და ეშინოდეს მასზე ძალადობრივი აქტის განხორციელების, განიცდიდეს ოჯახის სხვა წევრების მიმართ შიშს, იყოს მათი მხრიდან მუდმივი ძალადობის ობიექტი, ან არ სურს განცხადების შეტანის გამო გახდეს მორიგი ძალადობის პირდაპირი ობიექტი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას თავად მიმართოს სასამართლოს მოძალადისაგან დაცვის მიზნით. ამ შემთხვევაში განცხადებას სასამართლოში, მსხვერპლის თანხმობით, წარადგენს პირი, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ და/ან ფსიქოლოგიურ დახმარებას.

აღნიშნულ საკითხზე იყო მსჯელობა ზემოთ, როდესაც განვიხილეთ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი. დამატებით განვმარტავთ, რომ ამ პირებს როგორც სხვა დანარჩენს, არ სჭირდებათ განცხადების წარდგენისათვის მსხვერპლის წერილობითი თანხმობა, მაგრამ ასეთი ფორმით წარმოდგენილი განცხადების განხილვის დროს სასურველია დადასტურებული იქნეს უშუალოდ მსხვერპლის მიერ განცხადების განხილვისას, ან წარმოდგენილი იქნეს იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ განცხადების წარმომდგენი პირი არის მსხვერპლის მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი და საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე მსხვერპლს არ შეუძლია თვითონ წარმოადგინოს განცხადება, ან მონაწილეობა მიიღოს განცხადების განხილვაში. (დამატებით იხილეთ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებს საქართველოს კანონის მე-11 მუხლის კომენტარი)

მუხლი 21[1]. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს დამცავი ორდერი.
2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე შეიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილი წესით.
3. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;

ბ) განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას;
დ) ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ;
ე) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;
ვ) დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას;
ზ) მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის ხელმოწერას.
4. სასამართლო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.
5. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე განუმარტავს განმცხადებელს, რომ შეგნებულად ცრუ დასმენისათვის ან ცრუ ჩვენებისათვის მის მიმართ გამოყენებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, და ართმევს ხელწერილს, გამოიძახებს და აცნობს განცხადებას იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, და სთხოვს მას დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით გასცეს პასუხი განცხადებაში მითითებულ საკითხებზე და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უნყების მიღებიდან 3 დღის ვადაში.
6. დაჭცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება იმავე ინსტანციის სასამართლოში 3 დღის ვადაში, ხოლო მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას.
7. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.
8. დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული საქმეები სასამართლოში განიხილება ამ კოდექსის 22-ე–34-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21[12] მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირთა მიმართვის საფუძველზე, მსხვერპლის დაცვისა და მისი აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოძალადის მიმართ გარკვეული სახის შემზღუდველი ღონისძიებების დაწესების მიზნით, ძალადობის განმეორებით თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების სახით, შეიძლება გამოიცეს დამცავი ორდერი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შეიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის

საქმის განხილვისათვის პრიორიტეტული და სპეციალურია VII[3] თავი და ამ ტიპის დავებისათვის გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნას აუცილებლად წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს განცხადების წარმდგენის სახელს, გვარს, მონაცემებს მისი საცხოვრებელი ადგილის, მისამართის, ტელეფონის შესახებ. თუ განცხადება წარადგინა არა მსხვერპლმა, არამედ კანონით უფლებამოსილმა პირმა, ამ შემთხვევაში აუცილებელია (სასურველია) განცხადებაში მითითებულ იყოს მსხვერპლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, სახელი, გვარი, მისამართი, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. ასახული უნდა იყოს ოჯახში ძალადობის ფაქტის მოკლე აღწერა, სასურველია აგრეთვე მიეთითოს თუ რამდენად ხშირად მეორდებოდა ძალადობის ფაქტი ოჯახში და რამდენად აქვს მას განგრძობადი და განმეორებითი ხასიათი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით უნდა შეიცავდეს ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, ასევე ცნობებს მათი ურთიერთკავშირის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად ექვემდებარება კონკრეტული განცხადების განხილვა ოჯახში ძალადობის ფორმატს, განცხადებაში მოყვანილი ფაქტი ეხება თუ არა ოჯახის წევრებს და მათ შორის განვითარებულ კონფლიქტს.

განცხადებას ორდერის გამოცემის შესახებ სასურველია თან ერთვოდეს მტკიცებულებანი, რომელიც მხარეს მისცემს საშუალებას დაადასტუროს განცხადებაში მოყვანილი გარემოებანი. თუ განცხადება შეტანილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[14]-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული უფლებამოსილი პირის მიერ, განცხადებას თან უნდა დაერთოს მისი კანონისმიერი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულება. მაგალითად: სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მასზედ, რომ განცხადების ამღძვრელი პირი წარმოადგენს მსხვერპლის მკურნალ ექიმს/ფსიქოლოგს, ან შეთანხმება სამართლებრივი დახმარების შესახებ. შესაძლებელია მსხვერპლის ოპერატიული დაცვის მიზნით სასამართლოში წარდგენილი იქნას სხვა სახის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ განცხადების შემტანი პირი არის მსხვერპლის მკურნალი ექიმი/ფსიქოლოგი/იურისტი. მაგალითად, ავადმყოფობის შესახებ ცნობა ან ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან, რომელსაც ხელს აწერს მკურნალი ექიმი. იმ შემთხვევაში, თუ პირი(მსხვერპლი) თავისი ინტერესების დაცვას ახორციელებს წარმომადგენლის მეშვეობით, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობითი ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულება (მაგ. სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება).

განცხადების წარდგენისას სასურველია თანდართულ იქნას მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მსხვერპლს დამოუკიდებლად არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს. განცხადება უნდა შეიცავდეს მსხვერპლის (დაზარალებულის) მოთხოვნას დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ. განცხადება სათანადო წესით უნდა იქნას ხელმოწერილი მსხვერპლის ან განცხადების შეტანაზე სხვა უფლებამოსილი პირის მიერ.

კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული განცხადების წარმოებაში მიღების პროცედურა და ვადები. ავტორთა მოსაზრებით, დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ განცხადება მიღებულ უნდა იქნას წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სარჩელის(განცხადების) წარმოებაში მიღების დადგენილი პროცედურების დაცვით, მხოლოდ შემჭიდროვებული ვადებით. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საქმეთა წარმოებაში მიღების საკითხი საპროცესო კანონმდებლობით არ არის გაწერილი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზოგადად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისად სარჩელის(განცხადების) წარმოებაში მიღების ვადა შეადგენს 5 დღეს. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიზანია ძალადობის ფაქტზე მოხდეს მყისიერი რეაგირება, სსსკ-ის 183-ე მუხლის მე-3 ნაწილი საშუალებას აძლევს სასამართლოს განცხადება მიღებულ იქნას წარმოებაში ერთი დღის ვადაში. კარგი პრაქტიკა იქნა ჩამოყალიბებული ამ კუთხით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ – კერძოდ, მოსამართლე განცხადებას კანცელარიაში მისი რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში ამოწმებს და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში იღებს წარმოებაში დაუყოვნებლივ. განცხადებას სასამართლო განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. სწორედ საქმის განხილვის შემჭიდროებული პროცედურა და ვადები ანიჭებს ამ კანონს მოქნილობას და სასამართლოს აძლევს ძალადობაზე ოპერატიული რეაგირების საშუალებას, დამცავი ორდერის მეშვეობით აღკვეთოს ძალადობა, შექმნას მსხვერპლის დაცვის კანონისმიერი მექანიზმი, დააწესოს მოძალადის მიმართ შემზღუდველი ხასიათის დროებთი ღონისძიება.

სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის განმავლობაში განიხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას ორდერის გამოცემის, გაუქმების, ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

21[10].5 მუხლის შესაბამისად, განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს განმცხადებელს ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ (თუმცა აღნიშნული ნორმა სისხლის სამართლის კოდექსით უკვე გათვალისწინებული აღარ არის). ასევე, აცნობს განცხადებას იმ პირს ვის მიმართაც არის შეტანილი განცხადება და

სთხოვს მას დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენას. ვინაიდან, კანონში არ არის მითითებული ეს პროცედურა როდის და რა ფორმით უნდა განხორციელდეს, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გადაუგზავნის მოპასუხე-მოძალადეს (იმ პირს ვის მიმართაც არის შეტანილი განცხადება) განცხადებას თანდართულ მასალასთან ერთად და აძლევს მას კანონით განსაზღვრულ ვადას, განცხადების და თანდართული მასალების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში წარადგინოს საქმესთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულებები და წერილობით გასცეს პასუხი განცხადებაში მითითებულ საკითხებზე.

პრობლემურია ასევე საკითხი – დადგენილ უნდა იქნას თუ არა ხარვეზი იმ შემთხვევაში, როდესაც ორდერის გამოცემის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[9] და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კანონმდებლობის ნორმებს. გვაქვს მოსაზრება, რომ რათა საქმის განხილვისას უზრუნველყოფილი იქნას მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, დაცული იყოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, ამასთან თავიდან იქნას აცილებული საქმის გაჭიანურება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სასამართლოს მიერ ასევე შემჭიდროებულ ვადებში (1 დღეში) გამოტანილ იქნას განჩინება განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ და მიეცეს მხარეს მაქსიმალურად მოკლე ვადა (მაგ. ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 3 დღე), შეავსოს განცხადებაში მითითებული ხარვეზი. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია არ მიიღოს განცხადება წარმოებაში, რაც ექვემდებარება გასაჩივრებას კერძო საჩივრით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

რაც შეეხება ცრუ ჩვენებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამის შესახებ სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს, მხარედ მოწვეულ პირს ან მოწმეს პროცესზე საქმის სასამართლო განხილვისას და სასამართლო სხდომაზევე ართმევს ხელწერილს აღნიშნულ პირს. ვფიქრობთ, ამ მუხლის ამგვარად ჩამოყალიბება გარკვეულწილად ხელს უწყობს მის პრაქტიკულად მართებულ გამოყენებას, რაც ამარტივებს სამართალწარმოების პროცედურას და უფრო მოქნილსა და გამოყენებადს ხდის აღნიშნულ მუხლს. გამომდინარე აღნიშნულიდან კი მიგვაჩნია, რომ ეს მუხლი საჭიროებს ცვლილებას პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების, ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ ერთჯერადად საჩივრდება იმავე ინსტანციის სასამართლოში 3 დღის ვადაში. კანონით პირდაპირ არაა განერილი მიღებული გადაწყვეტილების გადაგზავნის წესი, გადაწყვეტილების გასაჩივრების ზუსტი პროცედურა, თუ რომელი მოსამართლე – გადანყვეტილების მიმღები, თუ იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლე არის

უფლებამოსილი განიხილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ავტორთა აზრით, სასამართლოში საქმის წარმოებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი პროცედურიდან გამომდინარე, გასაჩივრება უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღეში, იმავე სასამართლოში საჩივრის წარდგენის გზით. კანონით ასევე არ არის განსაზღვრული საჩივრის წარმოებაში მიღების პროცედურა. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც გამოყენებულ უნდა იყოს დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების პროცედურები და ვადები, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული.

საჩივარი განხილული უნდა იქნას სხვა მოსამართლის მიერ. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში ერთი ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლეა საჩივარს განიხილავს იგივე მოსამართლე.

მოსამართლე დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების, ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში „საჩივრის წარდგენა" და შესაბამისი 7 დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ხარვეზის აღმოფხვრისა და საჩივრის სათანადო წესით წარდგენის შემდგომ. საჩივრის მიღება და განხილვა სასამართლოში წარმოებს ზეპირი მოსმენით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექის VII[3] თავით დადგენილი წესით.

ვფიქრობთ ყველა ამ პრობლემური საკითხის საკანონმდებლო რეგულირება საჭიროა იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნას ხარვეზები და სასამართლომ შეძლოს არა პრაქტიკაზე, ანალოგიაზე და პრეცედენტზე, არამედ კანონზე გაიკეთოს ორიენტირი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი საქმის წარმოების ყოველი დეტალი.

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების, ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ გამოცემისთანავე შედის ძალაში, რაც საკითხის სპეციფიურობითაა განპირობებული და მიმართულია ძალადობის სწრაფი აღმოფხვრისა და მსხვერპლის რეალური, სწრაფი დაცვისაკენ, რადგან გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და განცხადების განხილვის დროს მან კიდევ ერთხელ არ განიცადოს ძალადობრივი მოპყრობა და სასამართლო გადაწყვეტილებით დაცული იყოს მოძალადისაგან.

მხარეები თანაბრად მონაწილეობენ ოჯახში ძალადობის ფაქტზე სასამართლოში წარდგენილი განცხადების განხილვაში. მათ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები მიიღონ მონაწილეობა დავის განხილვაში, წარმოადგინონ მტკიცებულებები და დაასაბუთონ განცხადებაში მითითებული გარემოებები. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს მათი მოწვევა და სათანადო ინფორმირება მიმდინარე პრო-

ცესთან დაკავშირებით, მაგრამ პროცესში მონაწილე მხარეებს აქვთ სუვერენული უფლება მიიღონ ან არ მიიღონ მონაწილეობა განცხადების განხილვაში. მხარის გამოუცხადებლობა არ აფერხებს განცხადების განხილვას სასამართლოში.

კანონში მითითებულია, რომ დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული საქმეები სასამართლოში განიხილება ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-34-ე მუხლებით დადგენილი წესით. ვფიქრობთ ეს მუხლები პრაქტიკულად ნაკლებად გამოიყენება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში დამცავი ორდერის გამოცემისას საქმის სასამართლო განხილვისას, რადგან საქმის სპეციფიკა და განხილვის შემჭიდროებული ვადები არ იძლევა ამის შესაძლებლობას. შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის აუცილებლობა, ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი პროცედურის და დაუშვებლობის საფუძვლები.

მუხლი 21[14]. სასამართლოს უფლებამოსილება შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით

1. უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

2. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მისი მოქმედება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმეზე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა.

4. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ამ კოდექსის 2113 მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 11 სექტემბრის №1079 ბრძანებით დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება სასა-

მართლოს, რომელიც მისი წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას, ორდერის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

კანონი არ მიუთითებს შემაკავებელი ორდერის განხილვის პროცედურების თაობაზე, მაგრამ დადგენილი პრაქტიკის თანახმად შემაკავებელი ორდერის განხილვა წარმოებს ზეპირი მოსმენით. მხარეების ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდგომ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის დამტკიცების და მისი მოქმედების გაგრძელების შესახებ, ან გარემოებების გამოკვლევის შემდგომ დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ შემაკავებელი ორდერი არის დროებითი შემზღუდავი ხასიათის ღონისძიება, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართულია ძალადობის ფაქტის ოპერატიული აღკვეთისაკენ მსხვერპლის დაცვის, მოძალადისა და მსხვერპლის დაშორების და ძალადობის შემდგომი გამოვლინების აღკვეთისაკენ, მისი მიღება ხდება ოპერატიულად და სამართალწარმოებაც მიმდინარეობს შემჭიდროებულ ვადებში. კანონმა მიანიჭა უფლებამოსილება პოლიციის თანამშრომელს თავად განსაზღვროს იმ ღონისძიებათა ნუსხა, რაც მიაჩნია მიზანშეწონილად ძალადობის აღკვეთის და მსხვერპლის დაცვისათვის. ჩვენი აზრით, პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია მოძალადეს განუსაზღვროს ვადა ამ შემზღუდველ ღონისძიებათა მოქმედებისა და აუცილებელია უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ შემაკავებელ ორდერში მიეთითოს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა. თუ გამოვიყენებთ კანონის ანალოგიას, დამცავი ორდერი უნდა გამოიცეს სამ თვემდე ვადით და ვფიქრობთ სასამართლომ მხარეთა შორის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს ასევე შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაც.

21[14].2 მუხლი ფრიად ბუნდოვანი, გაურკვეველი და გაუგებარია შემდეგი მოტივით, ნორმაში მითითებულია, რომ თუ შემაკავებელი ორდერი იქნება დამტკიცებული სასამართლოს მიერ, ავტომატურად უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება მისი პირობების მოქმედების გაგრძელებაზე დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ანუ დამტკიცებული შემაკავებელი ორდერი მოქმედებს დამცავი ორდერის გამოცემამდე, ე.ი. პრაქტიკულად უვადოდ, რადგან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნა შეიძლება არ იქნას დაყენებული პირის (მსხვერპლის) მიერ არასდროს.

